

მესამე სექცია

ხუდობინის საქმე რუსეთის წინააღმდეგ

**CASE OF KHUDOBIN v. RUSSIA**

(განაცხადი №59696/00)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი  
2006 წლის 26 ოქტომბერი

საბოლოო ვერსია  
26/01/2007

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება იმ  
გარემოებებში, რომლებიც კონვენციის 44-ე მუხლის მე-2

პუნქტშია მოცემული. იგი შესაძლოა დაექვემდებაროს  
რედაქციულ გადასინჯვას.

### **საქმეზე Khudobin v. Russia,**

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პალატამ (მესამე სექცია), შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ბ-ნი ბ.მ. ზუკანჩიჩი, თავმჯდომარე,  
ბ-ნი ჯ. პედიგანი,  
ბ-ნი ც. ბირსანი,  
ბ-ნი ა. კოვლერი,  
ბ-ნი ვ. ზაგრებელსკი,  
ქ-ნი ა. გულუმიანი,  
ბ-ნი დავით ტორ ბჯორგვინსონი, მოსამართლეები,  
და ბ-ნი ვ. ბერგერი, ხელის რეგისტრატორი,

იმსჯელა განმარტოებით 2006 წლის 5 ოქტომბერს და  
ამავე დღეს მიიღო შემდგენ გადაწყვეტილება:

### **პროცედურა**

1. საქმე მომდინარეობს რუსეთის მოქალაქე ბ-ნი ვიქტორ ხუდობინის („შემდგომში—„განმცხადებელი“) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, 1999 წლის 29 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან (№ 59696/00).

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ქ-ნი ვ. კოსტრომინა, მოსკოვში მოღვაწე ადვოკატი; რუსეთის მთავრობას („შემდგომში—„მთავრობა“) წარმოადგენდა ბ-ნი ვ. ლაპტევი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი.

3. კერძოდ, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ წინასწარი პატიმრობისას საპყრობილები იგი არ იყო უზრუნველყოფილი ჯეროვანი სამედიცინო დახმარებით, მისი პატიმრობის პირობები არაადამიანური და ლირსების შემლახველი იყო, მისმა წინასწარმა პატიმრობამ გადააჭარბა გონივრულ ვადას და მის გათავისუფლებასთან დაკავშირებული მოთხოვნების განხილვა განხორციელდა მნიშვნელოვანი გაჭიანურებით ან

საერთოდ არ იქნა განხილული და ბოლოს მისი მსჯავრდება სრულად ემყარებოდა პოლიციის წაქეზების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს.

4. განაცხადი გადაეცა სასამართლოს მე-3 სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ამავე სექციის შიგნით პალატა, რომელსაც უნდა განეხილა საქმე (კონვენციის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), შეიქმნა სასამართლოს რეგლამენტის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად.
5. 2005 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით, სასამართლომ განაცხადი არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოაცხადა.
6. განმცხადებელმა და მთავრობამ სათითაოდ წარმოადგინეს დამატებითი კომენტარები (სასამართლოს რეგლამენტის 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

## ზაჟფები

### *I საქმის გარემოებები*

7. განმცხადებელი დაიბადა 1979 წელს და ცხოვრობს ქ. მოსკოვში.
- ა. გარემოებები, რომლებიც წინ უძლოდა განმცხადებლის დაკავებას
8. 1998 წლის 29 ოქტომბერს ქ-ნი ტ-მ, პოლიციის ფარულმა აგენტმა, დაურეკა განმცხადებელს და განუცხადა მას, რომ სურდა ჰეროინის დოზის ყიდვა. განმცხადებელი დასთანხმდა ჰეროინის შოგნაზე და ბ-ნ მ-სთან ერთად ქუჩაში შეხვდა ქ-ნ ტ-ს. ქ-ნმა ტ-მ გადასცა განმცხადებელს მისთვის პოლიციის ოფიცრების: ს-ს და რ-ს მიერ მიცემული, სპეციალური ნივთიერებით დამუშავებული და დანიშნული ბანქოტები (დატანილი ნიშნების დანახვა მხოლოდ ულტრაიისფერ შუქზე შეიძლება). განმცხადებელმა აიღო ფული და წავიდა მეორე პირის, ბ-ნი გ-ს სახლში. ბ-ნმა გ-მ მოგვიანებით გადასცა განმცხადებელს მომცრო პაკეტი, რომელიც შეიცავდა 0.5 გრამ ჰეროინს. ფიქტიურ მყიდველთან დაბრუნების შემდგომ განმცხადებელი დაკავეს პოლიციის ოფიცრებმა, რომლებიც მას ქუჩაში უცდიდნენ.

9. განმცხადებელი მიუვანილ იქნა ადგილობრივი პოლიციის განყოფილებაში, სადაც ულტრაიისფერი სხივებით გამოიკვლიეს მისი თითები. მათზე აღმოჩნდა იმ ნივთიერების კვალი, რომელიც პოლიციამ გამოიყენა ბანკნოტების დასანიშნად. ქნაგ ტ-მ, ორი მოწმის თანდასწრებით, გადასცა პაკეტი პოლიციის ოფიცრებს და განმარტა, რომ მან ეს პაკეტი მიიღო განმცხადებლისაგან. პაკეტი დაღუქულ, მოწმეების მიერ ხელმოწერილ და გაგზავნილ იქნა ექსპერტიზაზე. განმცხადებელი მოათავსეს პოლიციის დაკავების საკანში ერთი დღე-დამის განმავლობაში.

ბ. განმცხადებლის პატიმრობა გამოძიებისა და სასამართლო ხამართალწარმოების განმავლობაში

10. 1998 წლის 30 ოქტომბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და განმცხადებელს წაეყენა ბრალი ნარკოტიკებით ვაჭრობაში. იმავე დღეს მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონის პროკურორმა მიუთითა განმცხადებლის დაკავებასთან დაკავშირებულ გარემოებებზე, წაყენებული ბრალდების სიმძიმესა და მიმალვის საფრთხეზე და გასცა ბრძანება განმცხადებლის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით. განმცხადებელი გადაიყვანეს მოსკოვის №48/1 საპატიმრო დაწესებულებაში.

11. ამ დროისათვის წინასწარი გამოძიება დასრულდა და 1998 წლის 24 დეკემბერს საქმე, საბრალდებო დასკვნასთან ერთად, წარიმართა მოსკოვის ბუტირსკის რაიონის სასამართლოში არსებითი განხილვისათვის. 1998 წლის 29 დეკემბერს შუამდგომლობა სასამართლო სამართლადწარმოების განმავლობაში განმცხადებლის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, რომელიც წარდგენილი იყო პრეობრაჟენსკის რაიონის სასამართლოს წინაშე, გადაიგზავნა ბუტირსკის რაიონულ სასამართლოში, რადგანაც საბრალდებო დასკვნა წარიმართა სწორედ ამ სასამართლოში და ამიტომაც სწორედ ამ სასამართლოს უნდა ემსჯელა განმცხადებლის საქმესთან დაკავშირებულ ყველა ასპექტზე. განმცხადებლის ადვოკატმა გაასაჩივრა ხსენებული გადაწყვეტილება, მაგრამ 1999 წლის 3 თებერვალს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ უარყო საჩივრი.

12. 1999 წლის 13 იანვარს განმწესრიგებელ მოსმენაზე სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე გადაწყვიტა, რომ განმცხადებული პატიმრობაში უნდა

დარჩენილიყო  
განმავლობაში.

სასამართლო

სამართალწარმოების

13. 1999 წლის 18 თებერვალს განმცხადებლის მამამ კვლავ წარადგინა წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა, რომელშიც აცხადებდა, რომ განმცხადებლის ძალზე შერყეული ჯანმრთელობის ფონზე ეს უკანასკნელი იმყოფებოდა პატიმრობისათვის შეუფერებელ პირობებში, კერძოდ კი სახეზე იყო არადამაკმაყოფილებელი სამედიცინო დახმარება, რომელიც არსებობდა წინასწარი პატიმრობის ცენტრში.

14. 1999 წლის 17 მარტს სასამართლომ გაახანგრძლივა განმცხადებლის პატიმრობა სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში. გადაწყვეტილებას თან არ ერთვოდა არანაირი სახის დასაბუთება და მიზეზები.

15. 1999 წლის 21 აპრილს განმცხადებლის მამამ რაიონულ სასამართლოს წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით ახალი შუამდგომლობა წარუდგინა. იგი კვლავ მიუთითებდა მისი შვილის ჯანმრთელობის პრობლემებზე. განმცხადებლის მტკიცებით, დაცვამ აღნიშნული მოთხოვნა კვლავ დაყენა 1999 წლის 26-27 ივნისს. მთავრობა აცხადებდა, რომ 1999 წლის 27 ივნისით დათარიღებული შუამდგომლობა სასამართლომ მიიღო მხოლოდ 1999 წლის 2 აგვისტოს.

16. 1999 წლის 27 ივნისს სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო განმცხადებლის სულიერი მდგომარეობის ხელახლა შემოწმება. სასამართლომ გადადო საქმის მოსმენა და გადაწყვიტა, რომ, ამავე დროს, განმცხადებელი უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში. აღნიშნული გადაწყვეტილება არ იყო მოტივირებული და არგუმენტირებული.

17. 1999 წლის 30 ივნისს განმცხადებლის ადვოკატმა გაასაჩივრა საქმის განმხილველი სასამართლოს 1999 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება. ადვოკატმა გაასაჩივრა საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილება, გადაედო საქმის მოსმენა და დაენიშნა განმცხადებლის სულიერი მდგომარეობის ხელახლა გამოკვლევა, რაც გაახანგრძლივებდა განმცხადებლის პატიმრობას საპატიმრო დაწესებულებაში არსებულ აუტანელ პირობებში. ადვოკატი მოითხოვდა შემდეგს:

„სისხლის სამართლის საპროცესო კანონის 331-ე მუხლის თანახმად, მე ვთხოვ [მოსკოვის სასამართლოს], გააუქმოს ბუტირსკის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვ.ვ. ხუდობინის საქმის

გადადებასთან, [განმცხადებლის] დამატებითი ფსიქიატრიული გამოკვლევისა და წინასწარი პატიმრობიდან განმცხადებლის გათავისუფლებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით“.

საჩივარი მიმართული იყო მოსკოვის საქალაქო სასამართლოსადმი და, როგორც ამას მოითხოვდა ეროვნული კანონმდებლობა, უნდა გაგზავნილიყო საქმის განმხილველი სასამართლოს რეგისტრაცურის საშუალებით. თუმცა, როგორც ჩანს, საჩივარი არ გადაგზავნილა საპატიო სასამართლოსათვის განსახილველად.

18. 1999 წლის 17 აგვისტოს განმცხადებლის სამართლებრივმა წარმომადგენლებმა წარადგინეს ანალოგიური ხასიათის შუამდგომლობები, რომლებიც რეგისტრაცურამ მომდევნო დღეს მიიღო. 1999 წლის 1 სექტემბერს განმცხადებლის ადვოკატმა საქმის განმხილველ სასამართლოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ითხოვდა ახსნა-განმარტებას, თუ რა ბედი ეწია მის 1999 წლის 30 ივლისის შუამდგომლობას. მას ამ წერილისათვის არანაირი პასუხი არ მიუღია.

19. 1999 წლის 15 სექტემბერს განმცხადებლის მშობლებმა განმცხადებლის განგრძობად წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებული საჩივრით მიმართეს მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილესა და რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოს. საქმის მასალებში არ მოიპოვება არანაირი პასუხი ხსენებულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

20. 1999 წლის 17 სექტემბერს განმცხადებლის წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა საქმის განმხილველ სასამართლოს განმცხადებლის გათავისუფლებასთან დაკავშირებით. დაცვა ისევ და ისევ უთითებდა განმცხადებლის გაუარესებულ ჯანმრთელობაზე, კერძოდ კი განმეორებით პნევმონიაზე, რომელიც განმცხადებელმა გადაიტანა წინა 3 თვის განმავლობაში.

21. განმცხადებელი პატიმრობაში რჩებოდა 1999 წლის 11 ნოემბრამდე, როდესაც სასამართლომ შეწყვიტა სისხლის სამართალწარმოება და გაათავისუფლა იგი.

*გ. პატიმრობისას განმცხადებლის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები*

22. 1995-1997 წლებიდან მოყოლებული, განმცხადებელი დაავადებული იყო მრავალი ქრონიკული დაავადებით,

როგორებიცაა: ეპილეფსია, პანკრიატიტი, ქრონიკული ვირუსული **B** და **C** ჰეპატიტები, ასევე სხვა სულიერი დაავადებებით. ექიმებმა, რომლებმაც გასინჯეს განმცხადებელი, 1995 წლს გასცეს რეკომენდაცია ამბულატორიული მკურნალობის ჩატარებასა და ანტიკუნკულსანტებით მკურნალობასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, დაკავების მომენტისათვის, 1998 წლის ოქტომბერში განმცხადებელი შემჩნეული იყო ნარკოტიკების მოხმარებაში, მათ შორის ჰეროინის ინტრავენურ მოხმარებაში.

23. 1998 წლის 30 ოქტომბერს, საპატიმრო ცენტრში გადაყვანისთანავე, განმცხადებელმა გაიარა ყოვლისმომცველი სამედიცინო შემოწმება, მათ შორის: შიდსის ტესტი, ნარკოტიკულ საშუალებებზე შემოწმების ტესტი და ფსიქიატრიული შემოწმება. ნარკოტიკულმა ტესტმა ცხადყო, რომ განმცხადებელი ინტოქსირებული იყო მორფინით; ფსიქიატრების კოლეგიამ დაადასტურა წინა დიაგნოზები, თუმცა შერაცხადად გამოაცხადა, რათა სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკისრებოდა, სავარაუდოდ, ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით; 1998 წლის 10 ნოემბერს განმცხადებლის სისხლის ანალიზის პირველი შედეგები იქნა მიღებული. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განმცხადებელს შიდსის ვირუსთან დაკავშირებით დადებითი პასუხი დაუფიქსირდა.

24. 1998 წლის 30 ნოემბერს ფსიქიატრმა ხელახლა გასინჯა განმცხადებელი და შერაცხადად ცნო, რათა დაკისრებოდა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა. დაუდგენელ დღეს, 1998 წლის დეკემბერში, საპატიმრო დაწესებულებამ მიიღო განმცხადებლის სამედიცინო ისტორია, რომელიც უავშირდებოდა დაკავებამდე არსებულ პერიოდს და რომელშიც მითითებული იყო აუცილებელი სამედიცინო მკურნალობა. კერძოდ, განმცხადებელს დანიშნული ჰქონდა ანტიკონკულსანტები (ფინლენსინ, კონვულექს) და ანტიჰიპერტენზი (რიბოკსინ, парасил).

25. 1998 წლის 23 დეკემბერს განმცხადებელმა გაიარა ახალი სამედიცინო შემოწმება, რომელმაც დაადასტურა წინა დიაგნოზები და, რომლის თანახმადაც, განმცხადებელს „შეეძლო, მონაწილეობა მიეღო სასამართლო სამართლწარმოებასა და საგამოძიებო ქმედებებში“

26. პატიმრობაში ყოფნისას განმცხადებელი დაავადებული იყო პნევმონიით, ეპილეფსიური შეტევებით, ბრონქიტით, ჰეპატიტით,

პანკრეატიტით და სხვა სერიოზული სწერულებებით. დაავადებათა გამო განმცხადებელი მრავალჯერ იქნა მოთავსებული დაწესებულების საავადმყოფოს ინფექციით დაავადებულ პატიმართა განყოფილებაში. როგორც საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციამ განაცხადა, განმცხადებელი საპატიმრო დაწესებულების საავადმყოფოში იმყოფებოდა: 1998 წლის 24 დეკემბრიდან 1999 წლის 22 მარტამდე, 1999 წლის 20 აპრილიდან 18 მაისამდე, 1999 წლის 19 ივლისიდან 12 აგვისტომდე და 1999 წლის 17 სექტემბრიდან 28 სექტემბრამდე.

27. დაცვის მხარემ მრავალჯერ მიაწოდა ინფორმაცია სასამართლოს, საპატიმრო დაწესებულებისა და სახელმწიფოს ხელისუფლების სხვა ორგანოებს განმცხადებლის ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებთან დაკავშირებით. მაგალითად: 1999 წლის 18 იანვარს დაცვამ მოითხოვა განმცხადებლის ჯეროვანი სამედიცინო გამოკვლევა; 1999 წლის 22 იანვარს განმცხადებლის მამამ თხოვნით მიმართა საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციას, რათა დანიშნულიყო განმცხადებლის ხელახლა გამოკვლევა დაცვის მხარის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი ექიმის მიერ, თუმცა საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ხენცხებულთან დაკავშირებით.

28. სასამართლო სამართლწარმოების განმავლობაში განმცხადებელმა გაიარა სულიერი მდგომარეობის სამი გამოკვლევა. 1999 წლის 15 ივნისს ექიმებმა დაასკვნეს, რომ ინკრიმინირებულ ქმედებათა ჩადენის დროისათვის განმცხადებელი სამართლებრივად შეურაცხადი იყო, კერძოდ, დასკვნაში ეწერა, რომ განმცხადებელი „დაავადებული იყო ქრონიკული სულიერი დაავადებით, რომელიც გამოიხატებოდა ეპილეფსიის ფორმით პოლიმორფოზული შეტევებით და სულიერი მოშლილობით, ასევე, გონების არევით და ნარკოტიკის მოხმარებისაკენ მისწრაფებით“. 1999 წლის 19 ოქტომბრის დასკვნამ დაადასტურა, რომ განმცხადებელი სამართლებრივად შეურაცხადი იყო და ესაჭიროებოდა იძულებითი მკურნალობა.

#### I. განმცხადებლის არგუმენტაცია

29. 1999 წლის 26 აპრილს, დაახლოებით 22 საათსა და 40 წუთზე, განმცხადებელს დაემართა ეპილეფსის შეტევა. როგორც განმცხადებლის თანამესაკავებს წერილობითი ჩვენებიდან ირკვევა, თანამესაკავებს მოუხდათ განმცხადებლის

კბილების გადება ხის კოვზით, რათა ეს უკანასკნელი არ გაგუდულიყო. შემდეგ სასწრაფო სამედიცინო დახმარება მოვიდა და თანამესაკნეებს გადასცეს შპრიცი უცნობი სითხით, რომელიც გაუკეთეს განმცხადებელს დუნდულში. განმცხადებლის მამამ აღნიშნული ფაქტი გაასაჩივრა საპატიმრო დაწესებულების აღმინისტრაციის წინაშე, რომელმაც უპასუხა, რომ განმცხადებელმა მიიღო სამედიცინო დახმარება „სამედიცინო პროცედურებისათვის განკუთვნილ ოთახში“.

30. 1999 წლის მაისში განმცხადებელი დაავადდა წითელათი და პნევმონიით. 1999 წლის 26 ივნისს განმცხადებელმა განიცადა მეორე ეპილეფსიური შეტევა. იგი გადაიყვანეს საპატიმრო ცენტრის ფსიქიატრიულ განყოფილებაში, სადაც იმყოფებოდა გარკვეული დროის განმავლობაში მუდმივი მეოვალყურეობის ქვეშ და იღებდა ანგიკონვულსანტებს. განმცხადებლის მამა ომბუდსმენისათვის გაგზავნილ და 1999 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში მიუთითებდა, რომ 1999 წლის 6 ივლისს განმცხადებელს განუმეორდა ეპილეფსიური შეტევა, მაგრამ არ მიუღია არანაირი სახის სამედიცინო დახმარება.

31. 1999 წლის 15 ივლისს განმცხადებელი დაავადდა ბრონქოპნევმონიით. განმცხადებლის მამის განცხადებით საპატიმრო დაწესებულების ექიმებმა მკურნალობა დაიწყეს სიმფტონების გაჩენიდან მხოლოდ 10 დღის შემდგომ.

32. 1999 წლის 17 ივლისს სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო განყოფილებაში განმცხადებელს ჩაუტარდა სისხლის ანალიზი, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. აღნიშნულთან დაკავშირებით განმცხადებლის მამამ საჩივარი წარუდგინა დაწესებულების ადმინისტრაციას. ციხის აღმინისტრაციის პასუხისმარებელი თანახმად, რომელიც გაიცა 1999 წლის 16 აგვისტოს, სისხლი აღებულ იქნა ერთჯერადი ნემსით.

33. 1999 წლის 21 ივლისს განმცხადებლის მამამ საჩივარი წარადგინა იუსტიციის სამინისტროში მისი შვილის პატიმრობის პირობებსა და არაჯეროვან სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით. 1999 წლის 27 ივლისს მან წარადგინა ანალოგიური საჩივარი ბუტირსკის რაიონულ სასამართლოში და ასევე ითხოვდა განმცხადებლის გათავისუფლებას. როგორც განმცხადებლის მამა წერდა, მიუხედავად იმისა, რომ მის შვილს აღენიშნებოდა 40-გრადუსიანი სიცხე და ციებ-ცხელება, იგი გადაჰყავდათ ხოლმე

ერთი საკნიდან მეორეში და არ მკურნალობდნენ ჯეროვნად პნევმონიასთან დაკავშირებით. მან სამი დღე გაატარა მომაკვდავ პაციენტებთან ერთად და ეძინა იატაკზე, რადგანაც არ იყო საკმარისი საწოლები. საპატიმრო დაწესებულების ექიმებმა არ დაადგინეს განმცხადებლის იმუნოლოგიური და ბიოქიმიური მდგომარეობა ისევე, როგორც მუდმივი ციებ-ცხელების შესაძლო მიზეზები. განმცხადებლის მამას სურდა, თავისი შვილისათვის გადაეცა ვიტამინიზებული პრეპარატები, მაგრამ საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მათ მიღებაზე.

34. ეროვნულმა სასამართლომ უარი განუცხადა განმცხადებელს მის გათავისუფლებასთან დაკავშირებულ შუამდგომლობაზე. იმავე დღეს, პროკურორის შუამდგომლობით, სასამართლომ ბრძანება გასცა, განმცხადებლის სულიერი მდგომარეობის დასადგენად ახალი ექსპერტიზა ჩაეტარებინათ, რასაც საფუძვლად დაედო წინა სამედიცინო დასკვნა, რომლის თანახმადაც, განმცხადებელი შეურაცხადად იქნა მიჩნეული, მაგრამ დასკვნა არ აკონკრეტებდა, განმცხადებლის სულიერი მდგომარეობა მოითხოვდა თუ არა იძულებით სამედიცინო მკურნალობას.

35. 1999 წლის აგვისტოში განმცხადებლის დედამ საჩივრით მიმართა იუსტიციის სამინისტროს განმცხადებლის პატიმრობის პირობების გამო, კერძოდ კი არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით.

## 2. მთავრობის არგუმენტაცია

36. მთავრობა ამტკიცებდა, რომ 1999 წლის 20 აპრილიდან 18 მაისამდე განმცხადებელმა გაიარა სტაციონარული მკურნალობა საპატიმრო დაწესებულების სავადმყოფოში. მასზე ზედამხედველობას ახორციელებდა მორიგე ექიმი. ჩაუტარდა სრული ადგანითი მკურნალობა და ვიტამინური თერაპია. საკან №735-ში, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, განთავსებული იყო ექვსი ნარი, ტუალეტი, ცხელი და ციფი წყლის ონკანები, საკანი ნიავდებოდა. განმცხადებელი უზრუნველყოფილი იყო საწოლით, პროდუქტებით, სამჯერადი კვებით, პირადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებებით. პატიმართა რაოდენობა საკანში არასოდეს აღემატებოდა განთავსებული ნარების ოდენობას.

37. მთავრობამ დაადასტურა, რომ 1999 წლის 26 აპრილს, დაახლოებით 22 საათსა და 40 წუთზე, განმცხადებელს შეტევა ჰქონდა. შეტევის შემდგომ განმცხადებელი დაუყოვნებლივ გასინჯა ექიმმა, რომელმაც გამოიკვლია პულსი, მოისმინა გულისცემა, გაზომა განმცხადებლის წევა, მოსინჯა მუცლის არე და კუნთში შეუშხაპუნა ამინაზინის ინიექცია. მომდევნო დღეს განმცხადებელმა გაიარა დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა.

38. განმცხადებელი საავადმყოფოდან გაწერეს ჯანმრთელობისათვის დამაქმაყოფილებელ მდგომარეობაში. 1999 წლის 26 ივნისს იგი მოათავსეს ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიული განყოფილების №353 საკანში. მას ზედამხედველობდა ექიმი, რომლისგანაც იღებდა „პროფილაქტიკურ სამედიცინო დახმარებას“. ხსენებული საკანი, ასევე სათანადოდ აღჭურვილი, არ იყო გადატვირთული.

39. სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ 2004 წლის 23 აპრილს გაცემული ცნობის თანახმად, განმცხადებელს არ აღენიშნებოდა ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში ყოფნის პერიოდში ეპილეფსიური შეტევები. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მის მიმართ ხორციელდებოდა ანტიკონვულსიური მკურნალობა.

40. მთავრობამ წარმოადგინა სამი სამედიცინო ცნობის ასლი, რომლებიც დათარიღებული იყო 1999 წლის 19 იანვრით, 25 თებერვლითა და 27 აპრილით. ასლები მოიცავდა შესაბამის სამედიცინო ინფორმაციას.

41. პირველი სამედიცინო ცნობის თანახმად, განმცხადებელს შიდსის პოზიტიური შედეგი დაუდასტურდა, იგი დაავადებული იყო ეპილეფსიით და ციხის საავადმყოფოში ყოფნის დროს ჰქონდა ეპილეფსიის შეტევა. განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეფასდა როგორც „დამაკმაყოფილებელი“. ნებისმიერი დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა დანიშნული უნდა ყოფილიყო საგამოძიებო ორგანოების მიერ.

42. 1999 წლის 25 თებერვლის მეორე ცნობის თანახმად, განმცხადებელს შიდსის პოზიტიური შედეგი დაუდასტურდა, ამავე დროს, იგი დაავადებული იყო B და C ქრონიკული ჰეპატიტით და ეპილეფსიით. გარდა ამისა, სამედიცინო ცნობაში არაფერი იყო აღნიშნული 1998 წლის 30 და 31 ოქტომბერს მომსდარ ეპილეფსიურ შეტევასთან დაკავშირებით.

1999 წლის 18 თებერვალს განმცხადებელი გასინჯეს ფსიქიატრმა და ნევროპათოლოგმა. საგამოძიებო ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე განმცხადებელი გაწერეს საავადმყოფოდან „დამაკმაყოფილებელ“ მდგომარეობაში, რაც ხელს არ უშლიდა განმცხადებლის მონაწილეობას სამართალწარმოებაში.

43. 1999 წლის 27 აპრილს გაცემული მე-3 ცნობა მიანიშნებდა, რომ განმცხადებელს შიდსის პოზიტიური შედეგი დაუდასტურდა, დაავადებული იყო წითელათი და ეპილეფსიით. ცნობის თანახმად, „ამ ეტაპზე [განმცხადებლის] ჯანმრთელობის მდგომარეობა შედარებით დამაკმაყოფილებელია“ და განმცხადებელი ვარგისია, მონაწილეობა მიიღოს სამართალწარმოებაში 1999 წლის მაისში.

44. მთავრობამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტები, რომლებიც ამონარიდები იყო განმცხადებლის სამედიცინო ისტორიიდან. წარმოდგენილი დოკუმენტების გვერდები გამოუსადეგარი იყო, რადგან გამოსადეგი ასლები ასახავდა განმცხადებლის დიაგნოზებს, მაგრამ არ მოიცავდა არანაირ ინფორმაციას განხორციელებულ მკურნალობასთან დაკავშირებით, რომელიც განმცხადებელმა მიიღო საპატიმრო დაწესებულების საავადმყოფოში.

#### **დ. განმცხადებლის საქმის განხილვა არსებითად**

45. 1998 წლის 30 დეკემბერს ბუტირსკის რაიონულმა სასამართლომ მიიღო საქმის მასალები პროკურორისაგან. პირველი მოსამზადებელი მოსმენა გაიმართა 1999 წლის 13 იანვარს. შემდგომ თვეებში სასამართლომ გამართა რამდენიმე მოსმენა, სადაც განიხილა სხვადასხვა სახის პროცედურული საკითხები. მგვარად, 1999 წლის 17 მარტს სასამართლომ დანიშნა განმცხადებლის სულიერი მდგომარეობის შემმოწმებელი ახალი ექსპერტიზა და გადადო საქმის მოსმენა. ექსპერტიზის დასკვნა მომზადდა 1999 წლის 15 ივნისისათვის. აღნიშნული დასკვნის თანახმად, განმცხადებელი შეურაცხადი იყო, მაგრამ დასკვნა არ მოიცავდა არანაირი სახის რეკომენდაციებს სამედიცინო ხასიათის იძულებით დონისძიებებთან დაკავშირებით. 1999 წლის 27 ივლისს სასამართლომ დანიშნა განმცხადებლის ახალი ფსიქიატრიული გამოკვლევა და გადადო საქმის განხილვა.

46. საქმის არსებით განხილვასთან დაკავშირებული პირველი მოსმენა გაიმართა 1999 წლის 11 ნოემბერს განმცხადებლის ადვოკატის თანდასწრებით. განმცხადებელი არ ესწრებოდა ამ სხდომას. განმცხადებლის ადვოკატის მოთხოვნის შემდგომ სასამართლომ გასცა ნებრთვა, სამართალწარმოებაში მონაწილეობა მიეღო რამდენიმე პირს, როგორც განმცხადებლის წარმომადგენლებს, მათ შორის ქალბატონ კოსტრომინას. მათ საშუალება მიეცათ, 30 წელის განმავლობაში გასცნობოდნენ საქმეს. განმცხადებლის ადვოკატმა მოითხოვა პროცესის გადადება, რადგანაც რამდენიმე მოწმე, მათ შორის გ., რომელმაც მიჰყიდა ჰეროინი განმცხადებელს, ისევე როგორც პოლიციები ს. და რ., რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ ოპერაციაში, არ გამოცხადდნენ პროცესზე. თუმცა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გაეგრძელებინა სამართალწარმოება.

47. საქმის განმხილველი სასამართლოს წინაშე დაცვის მხარის მიერ წარდგენილი არგუმენტები შემდეგნაირად შეიძლება იქნეს შეჯამებული: დაცვის მხარე სადავოდ ხდიდა, რომ განმცხადებელს დანაშაულის ჩადენისაკენ უბიძგა ქ-ნმა ტ-მ, რომელიც პოლიციის მხრდან მოქმედებდა. დაცვის მხარის თანახმად, რუსეთის კანონმდებლობა კრძალავს ნებისმიერი სახის ბიძგს დანაშაულის ჩადენისაკენ ან პროგრაციას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მზადდებოდა კონკრეტული დანაშაული, შესაძლებელი იყო შენიდბული ოპერაციის განხორციელება. თუმცა წინამდებარე საქმეში პოლიციას არ გააჩნდა განმცხადებლის ნარკოტიკებით ვაჭრობაში მონაწილეობის არანაირი მტკიცებულება, როდესაც იგეგმებოდა „დაგეგმილი შესყიდვა“.

48. დაცვის მხარე ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის აღიარება მიცემულ იქნა ნარკოტიკებით გაბრუების დროს, სამართლებრივი დახმარებისა და რჩევის მიღების გარეშე. ბოლოს კი, დაცვის მხარე ასაჩივრებდა სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის სარწმუნობას, რომელიც ასახავდა და ჯერონად აცხადებდა განმცხადებლის მიერ ქ-ნი ტ-სათვის, სავარაუდო, მიყიდულ და შემდგომ პოლიციის მიერ ამოღებულ ნივთიერებას. დაცვის მხარე მიუთითებდა განმცხადებლის მიერ 1999 წლის 15 ოქტომბერს ხელმოწერილ აღიარებაზე, რომელშიც ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ აღიარება ძალისმიერი გზით იქნა მოპოვებული.

49. საქმის მოსმენაზე 1999 წლის 11 ნოემბერს ქ-ნმა ტ-მ მისცა ჩვენება განმცხადებლის წინააღმდეგ. იგი აცხადებდა, რომ ნებაყოფლობით თანამშრომლობდა და ეხმარებოდა პოლიციას. მისი განმარტებით, მან გადასცა განმცხადებელი პოლიციას, „ასე ვთქვათ, გულისხმიერების გამო“ „იმ მომენტისათვის მე არ ვიცოდი, სად მეშოვა პეროინი, ამიტომ მე დავურებე [განმცხადებელს], რადგანაც წარსულში მან მიშოვა იგი.“

50. სასამართლომ ასევე მოუსმინა ბ-ს, რომელიც დაკავების მომენტისათვის იმყოფებოდა განმცხადებელთან ერთად და რომელმაც ძირითადად დაადასტურა ის, რაც განაცხადა ქ-ნმა ტ-მ. თუმცა მან განაცხადა, რომ ამ მოვლენებამდე იგი თავისთვის ნარკოტიკებს სხვა წყაროდან შოულობდა. ბოლოს სასამართლომ დაკითხა განმცხადებლის დედა, რომელმაც აღწერა განმცხადებლის ხასიათი. მისი თქმით, მან არ იცოდა, თუ როდის დაიწყო მისმა შვილმა ნარკოტიკების მიღება.

51. რაიონულმა სასამართლომ განიხილა მის წინაშე წარდგენილი დოკუმენტები, ნივთიერი მტკიცებულებები და საქმეში არსებული ექსპერტის დასკვნები. კერძოდ სასამართლომ განიხილა პოლიციის ოქმი, რომელშიც აღწერილი იყო „საკონტროლო შესყიდვა“ და, ასევე, ფსიქიატრიული გამოკვლევის შედეგები.

52. იმავე დღეს ბუტირსკის რაიონულმა სასამართლომ დამნაშავედ მიიჩნია განმცხადებელი ქ-ნი ტ-სათვის 1998 წლის 28 ოქტომბერს პეროინის მიყიდვაში. ამავე დროს, სასამართლომ დაადგინა, რომ 1999 წლის 19 ოქტომბრის ფსიქიატრიული დასკვნის საფუძველზე განმცხადებელმა ჩაიდინა დანაშაული შეურაცხად მდგომარეობაში და ამიტომაც არ შეიძლებოდა, მას დაკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სასამართლომ შეწყვიტა სისხლის სამართლწარმოება და ბრძანება გასცა განმცხადებლის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის თაობაზე მის საცხოვრებელ სახლში. განმცხადებელი გათავისუფლდა პატიმრობიდან.

53. განმცხადებლის წარმომადგენელმა წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც ამტკიცებდა, რომ განმცხადებელი არ იყო დამნაშავე და, *inter alia*, ამტკიცებდა, რომ პოლიციამ შეთითხნა დანაშაული. კერძოდ: სახეზე არ იყო არანაირი საფუძვლიანი მტკიცებულება, რომ განმცხადებელი ეჭმიტანილი იყო პოლიციის მიერ ნარკოტიკებით გაჭრობაში

მისი დაკავების მომენტისათვის. უფრო მეტიც, განმცხადებელს არ მიუღია არანაირი სახის მატერიალური მოგება ამ გარიგებიდან, რადგანაც მან ბ-ს გადასცა მოელი თანხა, რომელიც მიიღო ტ-საგან პატარა პაკეტისათვის; გარდა ამისა, სასამართლომ ვერ შეძლო, დაეკითხა რამდენიმე მთავარი მოწმე, მათ შორის პოლიციის ის ორი ოფიცერი, რომლებმაც დააკავეს განმცხადებელი; ორი მოწმე, რომლებიც ესწრებოდნენ განმცხადებლისა და ბ-ი გ-ს დაკავებას, რომელმაც განმცხადებელს მიჰყიდა ნარკოტიკული ნივთიერება; ბოლოს კი განმცხადებლის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ განმცხადებლისაგან აღიარება მოპოვებული იყო ძალადობით.

54. 2000 წლის 11 იანვარს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ უარი განაცხადა სააპელაციო საჩივრის განხილვაზე. სააპელაციო სამართალწარმოებას განმცხადებელი არ ესწრებოდა, მაგრამ მასში მონაწილეობდნენ განმცხადებლის აღვოკატი და წარმომადგენლები.

55. 2004 წლის 12 აპრილს ბუტირსკის რაიონულმა სასამართლომ მოსკოვის №19 ფსიქონევროზული საავადმყოფოდან მიღებული შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანება გასცა განმცხადებლის იძულებითი წესით სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით.

## **II. კვროპის საბჭოს შესაბამისი დოკუმენტები**

56. წამების, არაადამიანური ან დირსების შემლახველი მოპყრობის საწინააღმდეგო კვროპის საბჭოს კომიტეტის (“the CPT”) მე-3 ზოგადი მოხსენების [CPT/Inf (93) 12] შესაბამისი ამონარიდები შემდეგნაირად იკითხება:

### **„ა. ხელმისაწვდომობა ექიმზე“**

... 35. ციხის სამედიცინო სამსახურს, სულ მცირე, უნდა შეეძლოს რეგულარული მუდმივი კონსულტაციებისა და სასწრაფო მჯურნალობის განხორციელება (რა თქმა უნდა, ამავე დროს, იქ ასევე შეიძლება იყოს საავადმყოფოს ტიპის განყოფილება საწოლებით). ...გარდა ამისა, ციხის ექიმებს უნდა შეეძლოთ, მოიწვიონ შესაბამისი სპეციალისტები და გამოიყენონ მათი დახმარება...  
სადაც ეს საჭიროა, მუდმივ სამედიცინო მჯურნალობას ზედამხედველობას უნდა უწევდეს სამედიცინო პერსონალი, ძალიან ხშირად საქმარისი არ არის, შემდგომი მკურნალობა დამოკიდებული იყოს პატიმრის ინიციატივაზე.

36. შესაძლებელი უნდა იყოს სრულად აღჭურვილი საავადმყოფო მომსახურების მხრივ პირდაპირი დახმარება, როგორც სამოქალაქო, ასევე ციხის საავადმყოფოში.

37. როდესაც პატიმრებს ესაჭიროებათ პოსპიტალიზაცია ან საავადმყოფოში სპეციალისტის გასინჯვა, ისინი უნდა გადაიყვანონ სწრაფად და იმგვარად, როგორც ამას საჭიროებს პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა.“

### **ბ. მკურნალობის შესაბამისობა**

38. საპატიმროს სამედიცინო სამსახურს უნდა შეეძლოს სამედიცინო და სამეცნო მკურნალობის განხორციელება ისევე, როგორც შესაბამისი დიეტების, ფსიქოთერაპიის, რეაბილიტაციის ან სხვა რაიმე სპეციალურ დაწესებულებაში მკურნალობა იმავე პირობებში, როგორც ამას პაციენტები იღებენ თავისუფლებაში ყოფნის დროს. სამედიცინო, სამეცნო და ტექნიკური პერსონალის, ისევე როგორც დაწესებულების, აპარატურისა და აღჭურვილობის, უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს შესაბამისად.

უნდა განხორციელდეს წამლებსა და მათ გაცემაზე ზედამხედველობა. გარდა ამისა, წამლების მომზადება ყოველთვის უნდა დაეკისროს გამოცდილ სამედიცინო პერსონალს (ფარმაცევტს/უქონას, და სხვ).

39. უნდა წარმოედგეს სამედიცინო ისტორია თითოეულ პატიმართან მიმართებით, რომელიც მოცავს დიაგნოზთან დაკავშირებულ ინფორმაციას ისევე, როგორც პაციენტის მიმდინარე ჯანმრთელობის განვითარებასა და მის მიერ გავლილ სპეციალურ შემთხვებებს. გადაყვანის შემთხვევაში სამედიცინო ისტორია უნდა გადაეცეს იმ დაწესებულების ექიმებს, რომელშიც პატიმარი იქნა გადაყვანილი.

გარდა ამისა, სამედიცინო გუნდმა უნდა აწარმოოს სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელშიც ასახული იქნება კონკრეტული ინციდენტები, რომლებიც უკავშირდება პაციენტს და საჭიროებს დაფიქსირებას. ასეთი სარეგისტრაციო ჟურნალი იძლევა ციხეში არსებული სამედიცინო მომსახურების სრულ სურათს, ისევე როგორც წარმოაჩქნს იმ პრობლემებს, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას.

40. მკურნალობის ნორმალური პროცესი გულისხმობს, ექიმებსა და ექიმების შეეძლოთ, რეგულარულად შეხვდნენ და ჩამოაყალიბონ სამუშაო გუნდი სამსახურის უფროსი ექიმის ხელმძღვანელობით.

### **III. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა**

#### **ა. სისხლისსამართლებრივი პაციენტების გადამდებლობა ნარკოტიკებით გაჭრობისათვის**

57. სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის 1-ლი პუნქტი დანაშაულად აცხადებს ნარკოტიკების უკანონოდ შეძენას მომარაგების მიზნის გარეშე. 228-ე მუხლის მე4 პუნქტი დანაშაულად აცხადებს ნარკოტიკებით უკანონო მომარაგებას დიდი ოდენობით.

58. სისიხლის სამართლის 21-ე მუხლის თანახმად („შეურაცხადობა“), პირი, რომელიც ქრონიკული ან დროებითი სულიერი ავადმყოფობის, სულიერი მოშლილობის ან სხვა სულიერი მდგომარეობის გამო შეურაცხადია, სოციალურად

საშიში ქმედების ჩადენისას არ უნდა დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო დადგენილებით წყვეტს სამართლწარმოებას, ათავისუფლებს შესაბამის პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან სასჯელისაგან და შეუძლია ბრძანოს შესაბამისი პირის მიმართ იძულებითი სამედიცინო მკურნალობის ჩატარება (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი). თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ სახეზე არ არის საკმარისი მიმანიშნებელი ფაქტორები განსასჯელის ბრალეულობის დასამტკიცებლად, სამართლწარმოება უნდა შეწყდეს ამ საფუძველზე. სასამართლოს ასეთ შემთხვევაში კვლავაც შეუძლია დაუნიშნოს განსასჯელს იძულებითი სამედიცინო მკურნალობა.

#### **ბ. საგამოძიებო მუთოდები**

59. ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა შესახებ 1995 წლის 5 ივნისის კანონის მე-6 მუხლში, შესაბამისი შესწორებებით, ჩამოთვლილია სამართალდამცავი ორგანოებისა თუ უშიშროების სამსახურების მიერ განსახორციელებელ იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია დანაშაულთა გამოსაძიებლად. ხსენებული კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციას შეუძლია, განხორციელოს აკრძალული ნივთიერების (ე.ი. ნარკოტიკების) „საკონტროლო შესყიდვა.“

60. ხსენებული კანონის მე-7 მუხლის მე-2-1 პუნქტის თანახმად, იმისათვის, რათა განხორციელდეს „საკონტროლო შესყიდვა“, პოლიციას უნდა ჰქონდეს გარკვეული წინასწარი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ იგეგმება დანაშაული ან დანაშაული უკვე ჩადენილია. „საკონტროლო შესყიდვის“ განხორციელება შესაძლებელია შესაბამისი პოლიციის განყოფილების უფროსის წერილობითი ბრძანების საფუძველზე. სასამართლო კონტროლი უზრუნველყოფილია, თუკი „საკონტროლო შესყიდვა“ მოიცავს შესვლას საცხოვრებელ სახლში, ჩარევას კორესპონდენციასა და სხვა კონსტიტუციურად დაცულ უფლებებში. ფორმალური მოთხოვნის თანახმად, „ოქმი“ ასახული უნდა იყოს საკონტროლო შესყიდვის შედეგები. ხსენებული „ოქმი“ შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად სისხლის სამართლწარმოებისას. კანონი ასევე მოიცავს სხვა შესაძლო სიტუაციებსაც, როდესაც შესაძლებელია, განხორციელდეს

„საკონტროლო შესყიდვა“ (მაგალითად, როდესაც დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, როდესაც მოთხოვნა „საკონტროლო შესყიდვაზე“ მიღებულია სასამართლოსაგან ან პროკურატურისაგან და სხვ.), თუმცა ხევებული არ ეხება წინამდებარე საქმეს.

### გ) წინასწარი პატიმრობა

#### 1. პატიმრობის საფუძვლები

61. „ადრემოქმედი“ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი (სსსკ, რომელიც ძალაში იყო 2002 წლამდე) უზრუნველყოფდა რამდენიმე ხასიათის დროებით დონისძიებას, რომლებიც მოითხოვდა განსასჯელის გამოცხადებას სასამართლო სამართლწარმოებაზე და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებას. „ასეთი ხასიათის შეზღუდვის დონისძიებები“ ან „აღმკვეთი დონისძიებები“ მოიცავს: ვალდებულებას, შესაბამისმა პირმა არ დატოვოს ქალაქი ან რეგიონი, პირად უსაფრთხოებას, გირაოს ან წინასწარ პატიმრობას (ადრემოქმედი სსსკ-ის 89-ე მუხლი).

62. ძველი სსსკ-ის თანახმად, ბრძანება წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით შეეძლო მიეღო პროკურორს ან სასამართლოს (მე-11, 89-ე და 96-ე მუხლები). როდესაც ხდება გადაწყვეტილების მიღება პირისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, სახეზეა თუ არა „საკმარისი მტკიცებულებები, რათა დასკვნა იქნეს გამოტანილი“, რომ შესაბამისი პირი დაემალება გამოძიებას ან სასამართლოს, ან ხელს შეუშლის საქმის ჭეშმარიტების დადგენას, ან ხელახლა ჩაიდენს დანაშაულს (ადრემოქმედი სსსკ-ის 89-ე მუხლი).

63. 2001 წლის 14 მარტამდე წინასწარი პატიმრობა დამოწმებულად ითვლებოდა, თუკი ბრალდებულს ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო, სულ მცირე, ერთწლიანი პატიმრობა, ან, თუკი სახეზე იყო საქმეში არსებული „გამონაკლისი გარემოებები“ (96-ე მუხლი). ძველი კოდექსის თანახმად, კომპეტენტურ იორგანოს ასევე მხედველობაში უნდა მიეღო ბრალდების სიმძიმე, ინფორმაცია ბრალდებულის პიროვნების შესახებ, მისი პროფესია, ასაკი,

ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა გარემოებები (ადრემოქმედი სსსკ-ის 91-ე მუხლი).

## 2. წინასწარი პატიმრობის ვადები

64. კოდექსი განასხვავებს ორი ტიპის წინასწარი პატიმრობას: პირგელი, რომელიც „გრძელდება გამოძიების განმავლობაში“, ანუ, როდესაც კომპეტენტური ორგანოს მიერ – პოლიცია ან პროკურატურა – ხდება გამოძიების წარმართვა, და, მეორე, რომელიც „წინ უსწრებს სასამართლოს“ (ან „სასამართლო პერიოდში“), ანუ, როდესაც საქმე განიხილება სასამართლოში. მართალია, პრაქტიკაში არ შეიმჩნეოდა განსხვავებები (პატიმარი ერთსა და იმავე დაწესებულებაში იმყოფებოდა პატიმრობაში), ვადების გამოთვლა სხვადასხვაგარი იყო.

2

### ა) პატიმრობის ვადები „გამოძიების განმავლობაში“

65. დაკავების შემდგომ ეჭვმიტანილს ათავსებენ ციხეში „გამოძიების განმავლობაში“. პატიმრობის მაქსიმალური ნებადართული პერიოდი „გამოძიების განმავლობაში“ არის 2 თვე, მაგრამ იგი შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე „გამონაკლის გარემოებებში“. პატიმრობის გაგრძელებას ამოწმებს პროკურორი აღმავალი იერარქიული დონით და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში. თვრამეტ თვეზე მეტი ხნით „გამოძიების განმავლობაში“ პირის პატიმრობის გაგრძელება დაუშვებელია (ადრემოქმედი სსსკ-ის 97-ე მუხლი). „გამოძიების განმავლობაში“ პატიმრობის პერიოდი მთავრდება იმ დღეს, როდესაც პროკურორი საქმეს აგზავნის საქმის განმხილველ სასამართლოში (ადრემოქმედი სსსკ-ის 97-ე მუხლი).

### ბ) ვადები წინასწარი პატიმრობისათვის „სასამართლოს წინსწრების/ხასამართლოს განმავლობაში“

66. მას შემდგომ, რაც პროკურორი საქმეს წარმართავს სასამართლოში, პირის პატიმრობა ხორციელდება „სასამართლოს წინ“ (ან „სასამართლოს განმავლობაში“). 2001 წლის 14 მარტამდე ადრემოქმედი სსსკ არ აწესებდა არანაირი სახის ვადებს პატიმრობასთან მიმართებით „სასამართლოს განმავლობაში“. სასამართლოს ხანგრძლივობა არ იყო შეზღუდული დროში (თუმცა მოსამართლეს სასამართლო უნდა

დაეწყო გარკვეულ დროში პროკურატურიდან საქმის მიღების შემდგომ).

### 3. პატიმრობის მართლზომიერების დადგენასთან დაკავშირებული სამართალწარმოება

#### ა) „გამოძიების განმავლობაში“ პატიმრობისას

67. პატიმარს ან მის ადვოკატს, ან წარმომადგენელს შეუძლიათ, გაასაჩივრონ პროკურორის მიერ გამოტანილი პატიმრობის ბრძანება და ნებისმიერი შემდგომი პატიმრობის გაგრძელების ბრძანება სასამართლოს წინაშე. მოსამართლეს ეთხოვება, გადასინჯოს პატიმრობის ან პატიმრობის გაგრძელების ბრძანების კანონიერება და დასაბუთებულობა შესაბამისი დოკუმენტაციის მიღებიდან 3 დღის ვადაში. მოსამართლეს შეუძლია, უარყოს საჩივარი, ან გააუქმოს წინასწარი პატიმრობა და ბრძანოს პატიმრის გათავისუფლება (220-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები).

68. ზემდგომ სასამართლოში სააპელაციო საჩივრის შეტანა შეიძლება მოსამართლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ხსენებული საჩივარი იმავე ვადაში უნდა იქნეს განხილული, როგორც არსებით განხილვაზე მიღებული განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრებისას (331-ე მუხლის ბოლო ნაწილი).

#### ბ) სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში

69. საქმის მასალების მიღების შემდგომ მოსამართლემ უნდა განსაზღვროს, კერძოდ, განსასჯელი დატოვებულ იქნეს პატიმრობაში, თუ უნდა გათავისუფლდეს სასამართლო სამართალწარმოების მიმღინარეობისას (ადრემოქმედი სსსკ-ის 222-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 230-ე მუხლი). მოსამართლემ ასევე უნდა იმსჯელოს განსასჯელის გათავისუფლებასთან დაკავშირებულ თითოეულ შუამდგომლობაზე (ადრემოქმედი სსსკ-ის 223-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, თუკი შუამდგომლობაზე უარი იქნა განცხადებული, ახალი შუამდგომლობის წარდგენა შესაძლებელია სასამართლო სამართალწარმოების დაწყების შემდგომ (ადრემოქმედი სსსკ-ის 223-ე მუხლი). სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში ნებისმიერ დროს სასამართლოს შეუძლია, ბრძანოს, შეცვალოს ან გააუქმოს ნებისმიერი სასიათის აღკვეთის ღონისძიება, მათ შორის წინასწარი პატიმრობა (ადრემოქმედი სსსკ-ის 260-ე მუხლი).

70. ხსენებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სააპელაციო საჩივრის შეტანა შესაძლებელია ზემდგომ სასამართლოში. საჩივარი შესაძლებელია, შეტანილ იქნეს 10 დღის განმავლობაში და უნდა განიხილონ იმავე ვადებში, როგორც არსებით განხილვაზე მიღებული განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრებისას (ადრემოქმედი სსსკ-ის 331-ე მუხლი).

გ) ადგომატისა და კლიენტის ურთიერთობა, აუცილებლობის წესით დანიშნული წარმომადგენელი

71. სასამართლო სამართალწარმოებისას კლიენტის სამართლებრივი წარმომადგენლობა ზოგადად რეგულირდება კომისიის ან სააგენტოს ხელშეკრულებებიდან გამომდინარე წესებით (რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 49-ე და 52-ე თავები). კოდექსის 50-ე თავი დამატებით განსაზღვრავს აუცილებლობის წესით დანიშნულ წარმომადგენელს: როდესაც ერთ პირს შეუძლია, იმოქმედოს მეორე პირის ინტერესებით, რათა თავიდან ააცილოს პირველი პირის საკუთრებას ზიანი, დაიცვას ან ხელი შეუწყოს მის კანონიერ ინტერესებს და სხვ. იმ შემთხვევაში, თუკი სხვისი ინტერესებით პირი მოქმედებს შესაბამისი პირისაგან უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, მაშინ ხსენებული ითვლება აუცილებლობის წესით დანიშნულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ შეთანხმებად ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ პირსა და შესაბამის პირს შორის (სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი). ლოგიკურია, რომ შესაბამისმა პირმა უნდა იკისროს აუცილებლობის წესით დანიშნულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ხარჯები (სამოქალაქო კოდექსის 984-ე მუხლი).

## სამართალი

### I. მთავრობის პირველადი პრეტენზია

72. 2006 წელს, განმცხადებლისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით, მთავრობამ გამოოქვა პრეტენზია ევროპულ სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებისას ქ-ნ კოსტრომინას მონაწილეობის თაობაზე, კერძოდ, მთავრობის მტკიცებით, 2000 წლის 22 მარტს გაცემული უფლებამოსილების ფორმა ხელმოწერილი იყო არა განმცხადებლის, არამედ განმცხადებლის დედის მიერ. რადგანაც ევროპულ სასამართლოში განაცხადის წარდგენის

მომენტისათვის განმცხადებელი უკვე სრულწლოვანი იყო, ადგოკატისათვის უფლებამოსილების მინიჭების ფორმაზე მას თავად უნდა მოეწერა ხელი. გარდა ამისა, უფლებამოსილების მინიჭების ფორმა არ მოიცავს ქ-ნი კოსტრომინას ხელმოწერას, რაც, მთავრობის აზრით, ძალას უკარგავს დოკუმენტს. მთავრობამ თხოვნით მიმართა სასამართლოს, რომ პირადად განმცხადებლისაგან მოეპოვებინა ქ-ნი კოსტრომინას მიერ მისი სახელით გაგზავნილ თითოეულ დოკუმენტთან დაკავშირებით წერილობითი დადასტურება ან ამოედო სასამართლოს განსახილველ საქმეთა სიიდან წინამდებარე განაცხადი.

73. სასამართლო, პირველ რიგში, აცხადებს, რომ, სასამართლოს რეგლამენტის 45-ე მუხლის თანახმად, წერილობითი უფლებამოსილების მინიჭება ჯეროვნად არის მიწნეული ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების გამართვისათვის. კონვენციის პრაქტიკიდან გამომდინარე, აუცილებელი არ არის სპეციალური ფორმალური მოთხოვნები ასეთ დოკუმენტთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ამას მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობა (იხ.: ახლანდელი გადაწყვეტილება საქმეზე *Nosov v. Russia* (გადაწყვეტილება), № 30877/02, 2005 წლის 20 ოქტომბერი; ასევე სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Moiseyev v. Russia* (გადაწყვეტილება), № 62936/00, 2004 წლის 9 დეკემბერი; *Isayeva and Others v. Russia* (გადაწყვეტილება), № 57947/00, 57948/00 და 57949/00, 2002 წლის 19 დეკემბერი).

74. რაც შეეხება მთავრობის ეჭვს, რომ განმცხადებელს არ მიუნიჭებია ქ-ნი კოსტრომინასათვის უფლებამოსილება, რათა ამ უკანასკნელს წარმოედგინა იგი სტრასბურგის სამართალწარმოებისას, სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალწარმოების ორივე მხარე – განმცხადებელიც და მთავრობაც – ერთნაირად კეთილსინდისიერად მოქმედებდა; საწინააღმდეგო მოსაზრება კი გამყარებულ უნდა იქნეს საქმარისი მტკიცებულებებით. საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ქ-ნი კოსტრომინა წარმოადგენდა განმცხადებელს ეროვნულ დონეზე მიმდინარე სამართალწარმოებისას (იხ. წინამდებარე განჩინების 46-ე მუხლი). განმცხადებლის დედა, რომელმაც ხელი მოაწერა ქ-ნი კოსტრომინას სახელზე გაცემული უფლებამოსილების ფორმას, ასევე იყო განმცხადებლის წარმომადგენელი საქმის განმხილველი სასამართლოს წინაშე. განმცხადებელი თავად, როგორც ეს გამომდინარეობს 1998 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებიდან, სულიერად დააგადებული იყო და ესაჭიროებოდა იძულებითი

ბკურნალობა. ბუნებრივია, რომ ასეთ სიტუაციაში განმცხადებლის დედამ, რომელიც მოქმედებდა შვილის სახელით, დანიშნა ქნი კოსტრომინა, როგორც მისი სამართლებრივი წარმომადგენელი. გარდა ამისა, ქონებასთან დაკავშირებულ დეკლარაცაში, რომელიც განმცხადებლის მიერ იყო ხელმოწერილი, იგი ასახელებდა ქნ კოსტრომინას, როგორც თავის წარმომადგენელს. ბოლოს, მთავრობამ მხოლოდ სამართალწარმოების შუა ეტაპზე წარმოადგინა ეს არგუმენტი.

75. ხსენებულიდან გამოდინარე, სასამართლოს საქმარისად მიაჩნია, რომ განაცხადი ჯეროვნად იქნა წარმოდგენილი სასამართლოს წინაშე და ქნი კოსტრომინა ჯეროვნად იქნა უფლებამოსილი, რათა წარმოედგინა განმცხადებელი. შესაბამისად, ხსენებულთან დაკავშირებით მთავრობის პრეტენზია უარყოფილ უნდა იქნეს.

## *II. ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა*

76. ევროპული კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, განმცხადებელი ჩიოდა წინასწარი პატიმრობის განმავლობაში არასათანადო სამედიცინო მომსახურებასა და პატიმრობის არაადამიანურ პირობებთან დაკავშირებით. მე-3 მუხლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ ან ლირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს“

### *ა. მხარეთა არგუმენტაცია*

77. მთავრობა დაუინებით აცხადებდა, რომ განმცხადებელმა მიიღო ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა წინასწარი პატიმრობის პერიოდში. მთავრობის განცხადების თანახმად, საჭები არ იყო გადატვირთული და ისინი შესაბამისად იყო აღჭურვილი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 36-ე პუნქტი). განმცხადებლის წარმომადგენლის თითოეული საჩივარი ჯეროვნად იქნა განხილული და მათზე შესაბამისი დასაბუთებული პასუხი იქნა დროულად გაცემული. სიმართლეა ის ფაქტი, რომ 1999 წლის 26 აპრილს განმცხადებელს შეტევა ჰქონდა, თუმცა იგი მაშინვე გასინჯა მორიგე ექიმმა, რომელმაც კვალიფიციური სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა. სამედიცინო კვალიფიკაციის არმქონე განმცხადებლის

თანამესავნების წერილობითი ჩვენებები არ უნდა იქნეს მიღებული როგორც მტკიცებულებები. მთავრობამ დაასკვნა, რომ განმცხადებლის საჩივრები მე-3 მუხლითან დაკავშირებით დაუსაბუთებელი იყო.

78. განმცხადებელი კვლავაც მხარს უჭერდა თავის საჩივრებს. იგი აცხადებდა, რომ მან ზუსტად აღწერა საპატიმრო დაწესებულებაში არსებული პატიმრობის პირობები და ციხის სავადმყოფოში აღმოჩენილი სამედიცინო დახმარება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 29-ე და მისი მომდევნო პუნქტები). ხელისუფლების ორგანოებს სრული ინფორმაცია ჰქონდათ განმცხადებლის დაავადებებთან დაკავშირებით. განმცხადებლის მამა მრავალჯერ დაინტერესდა თავისი შეილის ჯანმრთელობის მდგომარეობით, თუმცა ყველა პასუხი, რომლებიც მან მიიღო საპატიმრო დაწესებულების ადმინისტრაციისაგან, ზოგადი ხასიათის იყო და არ მოიცავდა დეტალურ ინფორმაციას განმცხადებლის იმ მკურნალობასთან დაკავშირებით, რომელსაც ეს უკანასკნელი იღებდა თავისი დაავადებების გამო. განმცხადებელი კონკრეტულად მიუთითებდა 1999 წლის 26 აპრილის ინციდენტზე, როდესაც მას ჰქონდა ეპილეფსიური შეტევა, მაგრამ არ აღმოუჩინეს კვალიფიციური სამედიცინო დახმარება.

#### *პ. სასამართლოს შეფასება*

##### *1. სამედიცინო დახმარება*

79. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეებმა განსხვავებული ვერსიები წარმოადგინეს საპატიმრო დაწესებულებაში განმცხადებლის მიმართ აღმოჩენილ სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლო განმცხადებლის მიერ მე-3 მუხლთან დაკავშირებული საჩივრების განხილვას დაიწყებს ფაქტების იმ ნაწილის დადგენით, რომელიც საჩივრის ამ ნაწილთანაა დაკავშირებული.

##### *ა) ფაქტების დადგენა*

80. სასამართლო უთითებს მის მიერვე დადგენილ პრეცედენტულ სამართალზე, რომლის თანახმადაც, მტკიცებულებათა შეფასებისას მტკიცების სტანდარტი უნდა იყოს „გონივრული ეჭვის ზღვარს მიღმა“ (იხ. *Avsar v. Turkey*, no. 25657/94, § 282, ECHR 2001). თუმცა ასეთი დასკვნა შესაძლოა,

გამომდინარეობდეს საქმარისად ძლიერი, ნათელი და შესატყვისი მინიშნებებიდან ან გაუქარწყლებელი ფაქტის პრეზუმუციიდან, მაშინ, როდესაც შესაბამისი მოვლენები, მთლიანად ან უმეტესწილად, ექსკლუზიურად არის ცნობილი ხელისუფლების ორგანოებისათვის, ისევე, როგორც მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირების შემთხვევაში ფაქტების ძლიერი პრეზუმუცია მოქმედებს იმ დაზიანებებთან დაკავშირებით, რომლებიც განხორციელდა პატიმრობისას. ასეთ შემთხვევებში მტკიცების ტვირთი აწევთ ხელისუფლების ორგანოებს და გულისხმობს მათი მხრიდან დამაკავშირებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტებების წარმოდგენას (იხ. *Salman v. Turkey* [GC], №21986/93, § 100, ECHR 2000-VII). ხელისუფლების მხრიდან ასეთი ახსნა-განმარტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია, გამოიტანოს დასკვნა, რომელიც შესაძლოა, არ იყოს სახარბიელო მოპასუხე მთავრობისათვის (იხ. *Orhan v. Turkey*, №25656/94, § 274, 2002 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება).

81. წინამდებარე საქმეში განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას არ აღმოუჩინეს ადეკვატური სამედიცინო დახმარება, რომელიც მას ესაჭიროებოდა თავის დავადებებთან დაკავშირებით პატიმრობაში ყოფნისას. თუმცა განმცხადებელს არ წარმოუდგენია სამედიცინო დოკუმენტები, რომლებიც დააკონკრეტებდნენ წინასწარი პატიმრობისას აღმოჩენილი სამედიცინო მკურნალობის ხასიათს, თუკი რაიმე სახის მკურნალობა იქნა აღმოჩენილი.

82. თუმცა სასამართლო იმეორებს, რომ გარკვეულ გარემოებებში მტკიცების ტვირთი შესაძლოა, განმცხადებლიდან გადატანილ იქნეს მოპასუხე მთავრობაზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-80 პუნქტი). ასეთ დროს წამოიჭრება საჭიროება, ხსენებული მიღვომა შესაძლოა განხორციელდეს ამ შემთხვევაში თუ არა. იმისათვის, რათა პასუხი გაეცეს ამ კითხვას, სასამართლო განიხილავს მტკიცების არსებულ ელემენტებსა და საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს, რომლებიც აღიარებულია ორივე მხარის მიერ.

83. პირველ რიგში, მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ დაკავების მომენტში განმცხადებელი დაავადებული იყო რამდენიმე ქრონიკული სხეულებით, როგორებიც არის: ეპილეფსია, პანკრეატიტი, ვირუსული ჰეპატიტის B და C ფორმები, ასევე სხვადასხვა სახის სულიერი დაავადები. მას

ასევე დაუდასტურდა შიდსის ვირუსის პოზიტიური შედეგი. მთავრობას არ უარუევია, რომ ამ დაავადებათა შესახებ, რომელთაგან ზოგიერთი სიცოცხლისათვის საშიში იყო, იცოდა ხელისუფლების ორგანოებმა და ეს დაავადებები მოითხოვდა მუდმივ სამედიცინო ზედამხედველობასა და მკურნალობას ექიმების მხრიდან. ხელისუფლების ორგანოები ვალდებული იყვნენ, ეწარმოებინათ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საპატიმრო დაწესებულებაში გავლილი მკურნალობის ამსახველი სამედიცინო ისტორია (იხ. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის ზოგადი მოხსენება ციხეში მკურნალობის სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც ნახსენებია წინამდებარე გადაწყვეტილების 56-ე პუნქტში).

84. სასამართლო წუხილით აღნიშნავს, რომ პატიმრობის პერიოდში განმცხადებელი დასხეულდა რამდენიმე დაავადებით, როგორებიცაა: წითელა, ბრონქიტი და მწვავე პნევმონია. მას ასევე დაემართა რამდენიმე ეპილეფსიური შეტევა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ხანგრძლივი ავადმყოფობა შესაძლოა, ნაწილობრივ აიხსნას მისი წარსული სამედიცინო ისტორიით, კერძოდ კი იმ ფაქტით, რომ იგი დაავადებული იყო შიდსით, განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება საპატიმრო დაწესებულებაში წამოჭრის გარკვეულ ეჭვებს გაწეულ და საპატიმრო ადგილას ხელმისაწვდომ სამედიცინო სამკურნალო საშუალებებთან დაკავშირებით (იხ. *Farbtuhs v. Latvia*, განაცხადი № 4672/02, 2004 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილების 57-ე პუნქტი).

85. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა თავისი პრობლემები და გულისწუხილი შეატყობინა ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს იმ დროს, როდესაც მათგან მოსალოდნელი იყო შესაბამისი დონისძიებების განხორციელება. განმცხადებლის მიერ მისი ჯანმრთელობის პრობლემების აღწერა მის მიერ წარდგენილ მოთხოვნებში დეტალური და ჯეროვანი სახით იყო მოცემული. ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდათ სამედიცინო ისტორია და ასევე იცოდნენ სამოქალაქო ექიმების მიერ განმცხადებლის აუცილებელ სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების შესახებ.

86. გარდა ამისა, განმცხადებლის მამამ, სულ მცირე, ორჯერ თხოვნით მიმართა საპატიმრო დაწესებულების აღმინისტრაციას განმცხადებლის ჯანმრთელობის

მდგომარეობის დამოუკიდებელ სამედიცინო გამოკვლევასთან დაკავშირებით. თუმცა ხსენებული მოთხოვნები უარყოფილი იქნა. როგორც გამომდინარეობს მთავრობის მიერ წარმოდგნილი სამედიცინო ცნობიდან, განმცხადებლის ნებისმიერი შემდგომი სამედიცინო გამოკვლევა შესაძლებელი იყო მხოლოდ საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოების ინიციატივით. საკმაოდ შემაშფოთებელი იყო ის ფაქტი, რომ განმცხადებლის სამედიცინო შემოწმება შედიოდა საგამოძიებო ორგანოების დისკრეციაში: გამომძიებელზე, და არა ექიმზე, იყო დამოკიდებული იმის გადაწყვეტა, ესაჭიროებოდა თუ არა განმცხადებელს რაიმე სახის დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა. ხსენებულ გარემოებებში ძალიან ძნელია მთავრობის იმ მოსაზრების მიღება, რომ განმცხადებელს არ ესაჭიროებოდა რაიმე სახის დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა ან მკურნალობა.

87. ბოლოს, 1999 წლის 26 აპრილის ინციდენტი წამოჭრის განსაკუთრებულ პრობლემას. განმცხადებელი ჩიოდა, რომ იმ დღეს თანამესაკნეებს მოუხდათ მისთვის ინიექციის გაკეთება, რათა შეეჩერებინათ ეპილეფსიური შეტევა. განმცხადებელმა თავისი პრეტენზის გასამყარებლად თანამესაკნეების მიერ ხელმოწერილი განცხადება წარმოადგინა. სასამართლო ყურადღებას აქცევს მთავრობის არგუმენტს, რომ ასეთი განცხადება არ შეიძლება იქცეს მტკიცებულებად, რადგანაც განმცხადებლის თანამესაკნეები არ იყვნენ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, თუმცა ადამიანს არ სჭირდება პროფესიული ცოდნა, რათა განაცხადოს, რომ ინიექცია არ გაკეთებულა ციხის საავადმყოფოს თანამშრომლის მიერ. არ არსებობს არანაირი სახის მტკიცებულება, რათა ვირწმუნოთ, რომ განმცხადებლის თანამესაკნეები, რომლებმაც ხელი მოაწერეს განცხადებას, ცრუობდნენ. მეორე მხრივ, მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე სახის ჩანაწერი ხსენებულ ინციდენტთან დაკავშირებით. ამიტომაც სასამართლო აღიარებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტების ვერსიას 1999 წლის 26 აპრილის თაობაზე. ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო კვლავაც უთითებს, რომ სამედიცინო დახმარების აღმოჩენა არაკალიფიციური პირების მიერ არ შეიძლება ჩაითვალოს ადგევატურად (იხ. ზემოხსენებული გადაწყვეტილება *Farbtuhs*-ის საქმეზე, მე-60 პუნქტი).

88. ამგვარად, ზემოხსენებული ფაქტორების კომბინაცია მეტყველებს განმცხადებლის იმ მტკიცების სასარგებლოდ, რომ საპატიმრო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურება

არააღეპვატური იყო. ხსენებულ გარემოებებში მთავრობას დააწვა ტვირთი, რათა გაებათილებინა ხსენებული არგუმენტი. თუმცა მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც ნათელს მოჰყენდა, თუ რა სახის სამედიცინო მკურნალობა განხორციელდა განმცხადებლის მიმართ, როდის ჩატარდა იგი და ვის მიერ იქნა აღმოჩენილი (იხ. *mutatis mutandis, Ostrovar v. Moldova*, №35207/03, §86, 2005 წლის 13 სექტემბერი). ხსენებულთან დაკავშირებით მთავრობის არგუმენტაცია იყო ბუნდოვანი და არაჯეროვნად დასაბუთებული. მაგალითად, მთავრობის არგუმენტაცია, რომ განმცხადებელმა გაიარა „სრული ადგენითი მკურნალობა და ვიტამინური თერაპია“, ძალზე ზოგადი გამოთქმაა, რომელიც მოითხოვს შემდგომ დაკონკრეტებას. გარდა ამისა, მთავრობამ არ ნათელყო, განმცხადებელი იდებდა თუ არა წამლებს, რომლებიც მას გამოუწერეს სამოქალაქო ექიმებმა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 24-ე პუნქტი). რაც შეეხება მთავრობის მიერ წარმოდგენილ სამედიცინო ცნობებსა და განმცხადებლის სამედიცინო ისტორიიდან ამოღებულ ამონარიდებს (იმ ხარისხით, სადამდეც ისინი იმსახურებდნენ ნდობას), ისინი მხოლოდ ადასტურებდნენ დიაგნოზებს, მაგრამ არ მოიცავდნენ ინფორმაციას განმცხადებლისათვის აღმოჩენილ მკურნალობასთან დაკავშირებით ან განმცხადებლის მიერ გავლილ სამედიცინო შემოწმებასთან მიმართებით. შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ მთავრობას არ წარმოუდგენია ჯეროვანი ახსნა-განმარტება საპატიმრო დაწესებულებაში განმცხადებლის ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით.

89. ამიტომ სასამართლო იდებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ვერსიას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საპატიმრო დაწესებულებაში აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების თაობაზე. კერძოდ, სასამართლო უშვებს, რომ 1999 წლის აპრილსა და ივლისში განმცხადებელს პქნდა ეპილეფსის შეტევები, მაგრამ მას არ აღმოჩენია კვალიფიციური და/ან დროული სამედიცინო დახმარება. პატიმრობის განმავლობაში ხელისუფლების ორგანოებმა ვერ განახორციელეს განმცხადებლის ქრონიკული დაავადებების მონიტორინგი და არ აღმოუჩინეს ადეკვატური სამედიცინო დახმარება, რამაც განაპირობა განმცხადებლის ჯანმრთელობის გაუარესება და კოდეპ უფრო დაუცველი და უსუსური გახადა მისი მდგომარეობა სხვა დაავადებებთან, კერძოდ, ხანგრძლივ პნევმონიასთან მიმართებით. ერთხელ, როდესაც განმცხადებელს აღნიშნებოდა მაღალი სიცხე, იგი მოათავსეს

ციხის საავადმყოფოს საკანში მომაკვდავ პატიმრებთან ერთად. 1999 წლის ივლისში განმცხადებელი დაავადდა ბრონქოანევმონიით, მაგრამ მას არ აღმოჩენია სამედიცინო დახმარება უახლოესი 10 დღის განმავლობაში. ახლა სასამართლო განიხილავს ერთად აღებულ ამ ფაქტებს, საქმეში არსებულ სხვა შესაბამის გარემოებებთან ერთად და არკვევს, იყო თუ არა „არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობა“, როგორც ამას უთითებდა განმცხადებელი.

### ბ) პრეტენზის განხილვა

90. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მე-3 მუხლი ითვალისწინებს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ დირექტულებას. მე-3 მუხლი აბსოლუტური ტერმინებით კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ლირსების შემლახველ მოპყრობასა და სასჯელს, მიუხედავად გარემოებებისა და მსხვერპლის ქცევისა (*Labita v. Italy*, 2000 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, განჩინებები და გადაწყვეტილები – 2000-IV, § 119).

91. გარდა ამისა, სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ მის მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, იმისათვის, რათა მოხვდეს მე-3 მუხლის განხილვის სფეროში, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. ამ მინიმუმის შეფასება ფარდობითია და დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორებიცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და სულიერი შედეგები, ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (სხვა მაგალითებს შორის იხ. *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება, სერია A, №25, გვ. 65, § 162). მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოპყრობის მიზანი, კერძოდ, ქმედება მიმართული იყო თუ არა, იქითქენ, რომ დაემცირებინა ან ლირსება შეელახა მსხვერპლისათვის, ისეთი ფაქტორია, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული, მისი არარსებობა ერთმნიშვნელოვნად არ მიგითოთებს, რომ არ დარღვეულა მე-3 მუხლი (Peers v. Greece, №28524/95, § 74, ECHR 2001-III).

92. გამონაკლის გარემოებებში, როდესაც პატიმრის ჯანმრთელობა აბსოლუტურად შეუსაბამოა პატიმრობასთან, მე-3 მუხლის თანახმად, შესაძლოა, წარმოიშვას მოთხოვნა ასეთი პირის გათავისუფლებასთან დაკავშირებით კონკრეტულ გარემოებებში (იხ.: *Papon v. France (no. 1)* (გადაწყვეტილება),

№64868/01, CEDH 2001-VI; *Priebke v. Italy* (გადაწყვეტილება), №48799/99, 2001 წლის 5 აპრილი). კონკრეტული სამი ელემენტი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, როდესაც ვაფასებთ, თუ რამდენად შეესაბამება პატიმრობაში ყოვნა მის ჯანმრთელობას, ესენია: ა) პატიმრის სამედიცინო მდგომარეობა, ბ) სამედიცინო დახმარების ადეკვატურობა და პატიმრობისას ჩატარებული მკურნალობა და გ) განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, პატიმრობაში დატოვების ღონისძიების მიზანშეწონილობა (იხ. *Mouisel v. France*, №67263/01, §§ 40-42, ECHR 2002-IX).

93. თუმცა მე-3 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ აწესებდეს ზოგად ვალდებულებას, რომლის თანახმადაც, პატიმრები უნდა გათავისუფლდნენ ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე. ხსენებულით სახელმწიფოს ეკისრება მხოლოდ ვალდებულება, დაიცვას თავისუფლებაშეზღდულული პირების ფიზიკური კეთილდღეობა. სასამართლო უშვებს, რომ საპატიმრო დაწესებულებებში ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარება შეიძლება, ყოველთვის იმ დონეზე არ იდგეს, როგორც ეს შესაძლებელია საზოგადოებისათვის საუკეთესო სამედიცინო დაწესებულებებში, მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, პატიმრების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ადეკვატურად იქნეს დაცული, მათ შორის შესაბამისი სამედიცინო დახმარების აღმოჩენით (იხ.: *Kudla v. Poland* [GC], №30210/96, § 94, ECHR 2000-XI; ასევე, *Hurtado v. Switzerland*, 1994 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება, სერია A, №280-A, კომისიის მოსაზრება, გვ. 15-16, § 79; *Kalashnikov v. Russia*, №47095/99, §§ 95 და 100, ECHR 2002-VI). ზემოხსენებულ *Farbtuhs*-ის საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლების ორგანოები გადაწყვეტდნენ (სერიოზულად ავადმყოფი) პირის მოთავსებასა და შემდგომ ყოვნას პატიმრობაში, მათ უნდა განეხორციელებინათ საგანგებო მზრუნველობა იმგვარად, რომ პატიმრობის პირობები შესაბამისი ყოფილიყო უძლურებით გამოწვეული სპეციალური საჭიროებისა. (§ 56).

94. თუკი მივუბრუნდებით წინამდებარე საქმეს, სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ სხვადასხვა სამედიცინო წყაროდან მოპოვებული მტკიცებულებებით, განმცხადებელს აღენიშნებოდა რამდენიმე სერიოზული დაავადება, რომლებიც

მოითხოვდნენ მუდმივ სამედიცინო მკურნალობას, თუმცა არანაირი მტკიცებულება არ მიგვითითებს, რომ მისი დაავადებები პრინციპულად შეუსაბამო იყო პატიმრობასთან. საპატიმრო დაწესებულებას პქნონდა სამედიცინო განყოფილება, სადაც განმცხადებელი რამდენიმეჯერ მოათვასეს და, სავარაუდოდ, მისი ავადმყოფობის მკურნალობა შესაძლებელი იყო ამ განყოფილებაში არსებულ პირობებში.

95. ამავე დროს, სასამართლო უთითებს მის მიერვე დადგენილ ფაქტზე, რომ განმცხადებელს არ აღმოუჩინეს შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა. იმ დროსაც კი, როდესაც იმყოფებოდა ციხის საავადმყოფოში, განმცხადებელი იტანჯებოდა ავადმყოფობით გამოწვეული ფიზიკური ტკივილებით. რაც შეეხება სულიერ ეფექტს, მას უნდა სცოდნოდა, რომ ნებისმიერ მომენტში ემუქრებოდა სამედიცინო კრიზისი ჯანმრთელობისათვის ძალზე სერიოზული შედეგებით და რომ შეუძლებელი იქნებოდა კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 29-ე და მომდევნო პუნქტები). საპატიმრო ცენტრის ადმინისტრაციამ განმცხადებელს მხოლოდ შესაბამისი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე კი არ უთხრა უარი, არამედ ასევე განუცხადეს უარი, მიედო ასეთი დახმარება სხვა წყაროებიდან (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 27-ე პუნქტი). აღნიშნულს მნიშვნელოვანი დათრგუნვა უნდა გამოეწვია.

96. რაც კიდევ უფრო ართულებდა სიტუაციას, იყო ის ფაქტი, რომ განმცხადებელი შიდსითა და სერიოზული სულიერი ავადმყოფობით იყო დაავადებული. აღნიშნული ზრდიდა რისკს, რომელიც დაკავშირებული იყო ყველა იმ დაავდებასთან, რომელსაც განმცხადებელი განიცდიდა პატიმრობის განმავლობაში და ეს აძლიერებდა მის შიშს. სექნებულ გარემოებებში კვალიფიციური და დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის არქონა, რასაც თან ერთვოდა ხელისუფლების ორგანოების უარი განმცხადებლის ჯანმრთელობის დამოუკიდებელი სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით, წარმოშობდა ისეთი ძლიერი დაუცველობის გრძნობას, რომ, ფიზიკურ ტანჯვასთან ერთად, იგი ექცა დირსების შემლახველ მოპყრობად, მე-3 მუხლის მნიშვნელობით.

97. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

2. პატიმრობის ზოგადი პირობები

98. რაც შეეხება განმცხადებლის საჩივარს პატიმრობის ზოგადი პირობების შესახებ მოსკოვის 48/1 საპატიმრო დაწესებულებასა და ამ დაწესებულების სამედიცინო განყოფილებაში, სასამართლო თვლის, რომ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა ამ დაწესებულებაში არასათანადო სამედიცინო მოპყრობასთან დაკავშირებით, აუცილებელი არ არის ამ საკითხზე საჩივრის ცალკე განხილვა.

### *III. კონკრეტული მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საგარაულო დარღვევა*

99. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი განგრძობადი წინასწარი პატიმრობა აჭარბებდა გონივრულ ვადას და გაუმართლებელი იყო. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმადაც:

„ამ მუხლის 1-ლი (c) პუნქტის დებულებების თანახმად, დაჭავებული ან დაპატიმრებული კველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლებეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით“

#### *ა) მხარეთა არგუმენტაცია*

100. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობა აუცილებელი იყო მის მიმართ წაყენებულ ბრალდებათა სიმძიმიდან, განმცხადებლის პიროვნებისა და მისი მიმალვის საფრთხიდან გამომდინარე. განმცხადებელს ბრალი წაეყენა სერიოზულ დანაშაულთა ჩადენისათვის, რაც ითვალისწინებდა სასჯელს 13 წელიწადზე უფრო მეტი ხნით. პატიმრობის პირველი ბრძანება, რომელიც გასცა პროკურატურამ 1998 წლის 20 ოქტომბერს, მიუთითებდა მიმალვის საფრთხეზე და შემდგომი პატიმრობის ბრძანებებიც სწორედ ამ საფუძველს ეყრდნობოდა. განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა არც იმდენად ცუდი იყო, რომ გადაეწონა საზოგადოებრივი ინტერესი, რომლის თანახმადაც საჭირო იყო წინასწარი პატიმრობის გაგრძელება. განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელება განპირობებული იყო, კერძოდ, განმცხადებლის სულიერი მდგომარეობის

შეფასებასთან დაკავშირებული ექსპერტიზის ჩატარებით.  
ამგვარად, განმცხადებლის წინასწარ პატიმრობას არ გადაუჭარბებია გონივრული ვადისათვის.

101. განმცხადებელი ისევ მხარს უჭერდა თავის არგუმენტებს. მთავრობის კომენტარებზე წარმოდგენილი პასუხის თანახმად, განგრძობადი პატიმრობა არ იყო აუცილებელი. არ არსებობდა მიმალვის, დანაშაულის რეციდივის ან მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, წაყენებულ ბრალდებათა სიმძიმეს კი არ შეეძლო, გაემართლებინა პატიმრობა. განმცხადებელს აწუხებდა მრავალი დაავადება, ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ამასთანავე, დასაქმებული იყო (სტუდენტი). გარდა ამისა, სასამართლოებს არ წარუდგენიათ არანაირი მტკიცებულება, თუ რატომ არსებობდა ზემოხსენებული საფრთხე. სახეზე არ იყო ბრალის დამამტკიცებელი სერიოზული სამხილები, რადგანაც ბრალდება ეყრდნობოდა პოლიციის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ პროგრაციას; არ არსებობდა დანაშაულის რეციდივის რისკი, და განმცხადებლის ჯანმრთელობის საგანგაშო მდგომარეობა ითხოვდა მის დაუკონტროლივ გათავისუფლებას. განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის გაგრძელება დაკავშირებული იყო მისი სულიერი მდგომარეობის მრავალ ფსიქიატრიულ გამოკვლევასთან.

#### *პ. სასამართლოს შეფასება*

102. პირველ ეტაპზე სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობა გრძელდებოდა 1998 წლის 29 ოქტომბრიდან, დაკავების დღიდან 1999 წლის 11 ნოემბრამდე, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოცხადებასა და განმცხადებლის გათავისუფლებამდე. პატიმრობის სრული მოცულობა შეადგენდა წელიწადსა და 23 დღეს.

#### *1. ზოგადი პრინციპები*

103. დანაშაულში ბრალდებული პირი უოველთვის უნდა გათავისუფლდეს სასამართლო სამართალწარმოების განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია იმის დამტკიცება, რომ სახეზე „შესაბამისი და საკმარისი“ მიზეზები განგრძობადი პატიმრობისათვის (იხ.: *Wemhoff v. Germany*, 1968 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, №. 7, § 12; *Yagci and Sargin v. Turkey*, 1995 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, №319-A, § 52).

104. კონვენციასთან დაკავშირებული პრეცედენტების სამართლი ადგენს 4 ძირითად დასაშვებ მიზეზს გირაოზე უარის თქმისათვის: სასამართლოზე ბრალდებულის გამოუცხადებლობის რისკი (*Stögmüller v. Austria*, 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №9, § 15); იმის რისკი, რომ ბრალდებული, გათავისუფლების შემთხვევაში, ხელს შეუშლის მართლმსაჯულების ჯეროვნად აღსრულებას (იხ. *Wemhoff*-ის ზემოხსენებულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების მე-14 პუნქტი), ან ხელახლა ჩაიდგნენ დანაშაულს (იხ. *Matznetter v. Austria*, 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №10, § 9), ან გამოიწვევს საზოგადოებრივ არეულობას (იხ. *Letellier v. France*, 1991 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, №207, § 51).

105. პირველ რიგში, ეროვნული მართლმსაჯულების ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ, კონკრეტულ საქმეში აუცილებელი იყო თუ არა წინასწარი პატიმრობის გამოყენება (იხ. *Nikolov v. Bulgaria*, №38884/97, § 74, 2003 წლის 30 იანვარი). ევროპული სასამართლო უფლებამოსილება ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული დასკვნის გადასინჯვის კონტექსტში ძალიან შეზღუდულია: მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ მიღებული დასაბუთება თვითნებურია, ან არ გააჩნია რაიმე სახის ფაქტობრივი საფუძველი, ევროპულ სასამართლოს შეუძლია, ჩაერიოს და დაადგინოს, რომ პატიმრობა გაუმართლებელი იყო.

## 2. ხელებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

106. სასამართლო აღნიშნავს, რომ პროცერატურის მიერ გაცემული 1998 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებული პატიმრობის პირველადი ბრძანება ეყრდნობოდა განმცხადებლის მიმართ წაყენებულ ბრალდებათა სიმძიმესა და მისი მიმალგის საფრთხეს. თუმცა განმცხადებლის პატიმრობის გაგრძელებისას ან დაცვის მხარის მიერ გათავისუფლებასთან დაკავშირებით წარდგენილი შუამდგომლობების უარყოფისას ეროვნულ სასამართლოებს არ წარმოუდგენიათ არანაირი სახის მიზეზები.

107. ამრიგად, სასამართლო იმეორებს, რომ, მართალია, გონივრული ეჭვის არსებობა არის *sine qua non* გარემოება პირველადი პატიმრობისათვის, გარკვეული დროის გასვლის

შემდგომ ხსენებული უკვე აღარ არის საკმარისი (იხ. კლასიკური მაგალითის სახით *Labita v. Italy* [GC], №26772/95, § 153, ECHR 2000-IV). სასამართლო უშვებს, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ არსებულ გონივრული ეჭვს შესაძლოა გაემართლებინა პირველადი პატიმრობა. თუმცა სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ ბრალდების სიმძიმეს თავისთავად არ შეუძლია გაამართლოს სასამართლო სამართლწარმოებისას განხორციელებული ხანგრძლივი პატიმრობის პერიოდები. ხსენებულის საფუძველზე არ შეიძლება ასევე გამართლებულ იქნეს თავისუფლების ადკვეთასთან დაკავშირებული სასჯელი (იხ.: *Rokhlina v. Russia*, № 54071/00, § 66, 2005 წლის 7 აპრილი; *Panchenko v. Russia*, № 45100/98, § 102, 2005 წლის 8 თებერვალი; *Letellier, loc. cit.*). ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ 1998 წლის 30 ოქტომბრის შემდგომ განმცხადებლის პატიმრობა გახანგრძლივდა რამდენიმეჯერ და გაგრძელდა დაახლოებით 1 წელი. უფრო მეტიც, 1998 წლის დეკემბერში გამოძიება დასრულდა და საქმე გადაიგზავნა საქმის განმხილველ სასამართლოში. სასამართლოს აზრით, ასეთ გარემოებებში ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს უნდა წარმოედგინათ ახალი მიზეზები განმცხადებლის განგრძობად პატიმრობასთან დაკავშირებით.

108. რაც შეეხება მთავრობის კომენტარებში ასახულ მიზეზებს, კერძოდ მიმალვის საფრთხესა და განმცხადებლის „პიროვნებას“, სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ სწორედ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში მოცემული მიზეზებისა და განმცხადებლის განაცხადებში წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე ადგენს ევროპული სასამართლო, დაირღვა თუ არა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. (იხ. *Jablonski v. Poland*, №33492/96, § 79, 2000 წლის 21 დეკემბერი). საქმეში *Iljikov v. Bulgaria* (№33977/96, § 86, 2001 წლის 26 ივნისი) სასამართლომ დაადგინა:

„ მიუხედავად იმისა, რომ ფაქტები, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა მომხდარიყო თავისუფლების აღვეთა, ალბათ არსებობდა. ისინი არ იყო მოხსენიებული სასამართლოების გადაწყვეტილებებში... და სასამართლოს ამოცანაც არ არის ასეთი ფაქტების დადგენა და იმ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების აღგილის დაკავება, რომლებმაც გამოიტანეს გადაწყვეტილება განმცხადებლის პატიმრობასთან დაკავშირებით“.

მთავრობის მიერ მითითებული განმცხადებლის პატიმრობის მიზეზები არ იყო ხსენებული ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში და ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია

დაუშვას, რომ ასეთი მიზეზები გამომდინარეობს საქმის გარემოებებიდან. მეორე მხრივ, ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: განმცხადებლის ახალგაზრდა ასაკი, ჯანმრთელობის პრობლემები, ნასამართლეობის არქონა, ის ფაქტი, რომ მას ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სტაბილური ოჯახური ურთიერთობები, აუცილებელს ხდიდა გათავისუფლებასთან დაკავშირებული მისი შუამდგომლობების უფრო ზედმიწევნით განხილვასა და სასამართლო გადაწყვეტილებებში მათ ანალიზს. როგორც ჩანს, დასაბუთების არქონა იყო არა შემთხვევითი ან ხანძოკლე უმოქმედობა, არამედ გათავისუფლებასთან დაკავშირებულ შუამდგომლობათა განხილვის ჩვეულებრივი და ზოგადად გავრცელებული მეთოდი. ხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო აღენს, რომ გამოძიებისა და სასამართლო სამართლწარმოების განმავლობაში განმცხადებლის პატიმრობა არ იყო გამართლებული „შესაბამისი და ჯეროვანი“ მიზეზებით.

109. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

#### *IV. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა*

110. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ეროვნულმა სასამართლებმა „სწრაფად“ არ განიხილეს 1999 წლის 21 აპრილსა და 1999 წლის 17 სექტემბერს შეტანილი გათავისუფლებასთან დაკავშირებული მისი შუამდგომლობები. განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ მოსკოვის საქალაქო სასამართლოში შეტანილი მისი 1999 წლის 4 და 17 აგვისტოთი დათარიღებული საჩივრები არ ყოფილა განხილული. ხსენებულთან დაკავშირებით, განმცხადებელი ეყრდნობოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს:

„ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და ბრძანებს გათავისუფლებას, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.“

#### *ა) მხარეთა არგუმენტაცია*

111. რაც შეეხება განმცხადებლის გათავისუფლებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მთავრობამ აღნიშნა, რომ 1999 წლის 17 მარტს შესაბამისმა სასამართლომ დანიშნა

განმცხადებლის სულიერი მდგომარების დამატებითი ექსპერტიზა. შესაბამისად, საქმე გადაიდო. ამგვარად, 1999 წლის 17 მარტის შუამდგომლობა გათავისუფლებასთან დაკავშირებით დაემთხვა პერიოდს, როდესაც სასამართლო მოსმენები არ იმართებოდა. სასამართლომ მაშინვე, როგორც კი მიიღო ექსპერტიზის დასკვნის შედეგები, დანიშნა მოსმენის დღე და განხილდა ეს შუამდგომლობა. იგივე განმეორდა 1999 წლის 17 სექტემბერს შეტანილ გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობასთან მიმართებითაც, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც სასამართლო უცდიდა განმცხადებლის სულიერი მდგომარეობის შესამოწმებლად დანიშნული მე-4 ექსპერტიზის შედეგებს – 1999 წლის 17 სექტემბრის შუამდგომლობა განხილულ იქნა არსებითი განხილვის შემდგომ მოსმენაზე, 1999 წლის 11 ნოემბერს.

112. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ 1999 წლის 27 ივნისს დაცვის მხარეს არ წარუდგენია რაიმე სახის შუამდგომლობა გათავისუფლებასთან დაკავშირებით. 1999 წლის 27 ივნისით დათარიღებული შუამდგომლობა სასამართლომ, ფაქტობრივად მიიღო 1999 წლის 2 აგვისტოს. რაც შეეხება 1999 წლის 15 და 17 სექტემბრის შუამდგომლობებს, რომლებიც, შესაბამისად, წარედგინა მოსკოვის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილესა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ისინი გადაეგზავნა მოსკოვის ბუტირსკის რაიონულ სასამართლოს „დადგენილი წესით და შენახულ იქნა საქმეში“.

113. რაც შეეხება მოსკოვის საქალაქო სასამართლოს მიერ 1999 წლის 30 ივნისით დათარიღებული შუამდგომლობის, სავარაუდოდ, განუხილველად დატოვებას, მთავრობა აცხადებდა, რომ შუამდგომლობა ეხებოდა მხოლოდ განმცხადებლის სულიერი მდგომარეობის სხვა ექსპერტიზის ჩატარების საჭიროებას, და არა პატიმრობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

114. განმცხადებელი მხარს უჭერდა თავის პრეტენზიებს, თუმცა, შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენის გარეშე. იგი კლავაც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ 1999 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც მას გაუხანგრძლივდა პატიმრობა, გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოს წინაშე მისი ადვოკატისა და სამართლებრივი წარმომადგენლების მიერ, მაგრამ შუამდგომლობა არ ყოფილა განხილული.

## ბ) სასამართლოს შეფასება

## 1. ზოგადი პრინციპები

115. სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი „უზრუნველყოფს, „პატიმრობის კანონინერება გადაწყვდეს სწრაფად“ (ხაზგასმა დამატებულია). ხსენებული მოთხოვნა მოიცავს ორ ასპექტს: პირველი, სამართლებრივი გადასინჯვის შესაძლებლობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ჩეარა, პირის პატიმრობაში აყვანის შემდგომ, და თუკი ეს აუცილებელია, გონივრულ შუალედებში; მეორე, გადასინჯვის პროცედურა უნდა წარიმართოს კეთილსინდისიერად. გარდა ამისა, სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს აპელაციის სისტემას, საპელაციო ორგანომ ასევე უნდა დააკმაყოფილოს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები (იხ. *Grauzinis v. Lithuania*, 2000 წლის 10 ოქტომბრის განაჩენი №37975/97, §§ 30-32). კერძოდ, ხსენებული ასევე ეხება საპელაციო ორგანოს მიერ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოსული გადაწყვეტილების გადასინჯვის სისტრაფეს.

116. საკითხი, გათავისუფლების თაობაზე პირის შეამდგომლობის „სწრაფად განხილვის უფლება“ დაკმაყოფილდა თუ არა, განისაზღვრება თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე; რთულ საქმეებში გათავისუფლებასთან დაკავშირებული შეამდგომლობის განხილვას შესაძლოა დასჭირდეს უფრო მეტი დრო, ვიდრე მარტივ საქმეებში. საქმეში *Baranowski v. Poland* (№28358/95, ECHR 2000-III) ეროვნულ სასამართლოებს დასჭირდათ 5 თვე გათავისუფლების თაობაზე შეამდგომლობის განხილვისათვის. მთავრობამ წარმოადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლომ გათავისუფლების შესახებ პირველი შეამდგომლობის განხილვა დაიწყო წარდგენიდან მეორე დღესვე, ხოლო მოგვიანებით ჯერ გადადო შესაბამისი შეამდგომლობების განხილვა, რადგანაც მტკიცებულებები მოპოვებული უნდა ყოფილიყო სამი ექსპერტისაგან. თუმცა, მიუხედავად ხსენებული არგუმენტებისა, სასამართლომ დაადგინა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა. საქმეში – *Samy v. the Netherlands* (№36499/97, 2001 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება), რომელიც ეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების დაპატიმრებას მათი გაძევების მიზნით, სასამართლომ დაადგინა, რომ 25-დღიანი პერიოდი შეესაბამებოდა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს. ამავე დროს, საქმეში – *Rehbock v. Slovenia* (№29462/95, § 85, ECHR

2000-XII) – სასამართლომ დაადგინა, რომ გათავისუფლებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა განხილული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე წარდგენიდან 23 დღის შემდგომ და, რომ ეს არ იყო „სწრაფი“ განხილვა, როგორც ამას მოითხოვს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი. ჩვიდმეტდღიანი გაჭიანურება ამ დებულებასთან შეუსაბამოდ იქნა გამოცხადებული (იხ. *Kadem v. Malta*, № 55263/00, § 43, 2003 წლის 9 იანვარი).

## **2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში**

### **ა) 1999 წლის 21 აპრილს წარდგენილი გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის განხილვის გაჭიანურება**

117. სასამართლოს განმარტებით, 1999 წლის 17 მარტს რაიონულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებელი უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში სასამართლო სამართლწარმოების განმავლობაში, თუმცა სასამართლოს არ დაუკონკრეტებია განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობის მიზეზები; ეროვნულ სასამართლოს არც რაიმე სახის ვადები დაუწესებია განგრძობად პატიმრობასთან დაკავშირებით. სასამართლო ასევე ადგენს, რომ არსებულ კანონმდებლობაში არ შეიმჩნევა განგრძობადი პატიმრობის გადასინჯვის უფლებაზე რაიმე შეზღუდვის დაწესება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 61-ე და მომდევნო პუნქტები). ეს უკანასკნელი არ ადგენს, თუ რა სისმირით უნდა დაუბრუნდეს საქმის განმხილველი სასამართლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის გადასინჯვის საკითხს. ძირითადად, დაცვას შეუძლია, წარადგინოს გათავისუფლებასთან დაკავშირებული იმდენი შუამდგომლობა, რამდენიც სურს, თუნდაც ყოველდღე, თუკი დაცვის მხარეს ასე ურჩევნია. ამიტომაც განმცხადებელს არ გააჩნია ნათელი მითითება იმასთან დაკავშირებით, თუ როდის იქნება შესაფერისი გათავისუფლების თაობაზე ახალი შუამდგომლობის წარდგენა.

118. ფაქტობრივად, ახალი შუამდგომლობა შეტანილ იქნა 1999 წლის 21 აპრილს, ანუ ერთი თვის შემდგომ რაიონული სასამართლოს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანიდან. ხსენებულ შუამდგომლობაში განმცხადებელი მიუთითებდა თავის ცუდ ჯანმრთელობაზე. სასამართლოს აზრით, განმცხადებლის ეს არგუმენტი შესაძლოა, ჩათვლილიყო ახალ გარემოებად, რომელიც

მოითხოვდა პატიმრობის საკითხის ხელახლა განხილვას (განსაკუთრებით კი იმ ფონზე, რომ არაჯეროვნად იყო დასაბუთებული პატიმრობის თაობაზე წინა გადაწყვეტილება, განმცხადებელს კი ჰქონდა საფუძვლიანი პრეტენზია ხსენებულზე – იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 83-ე და 84-ე პუნქტები). ამ გარემოებების მიხედვით, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებელს ბოროტად არ გამოუყენებია თავისი უფლება, მოეთხოვა პატიმრობის კანონიერების გადასინჯვა და მას შეეძლო ჰქონოდა გონივრული მოლოდინი, რომ მისი გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობაზე პასუხი მალე იქნებოდა გაცემული.

119. თუმცა რაიონულმა სასამართლომ განიხილა გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა მხოლოდ მომდევნო არსებითი განხილვის მოსმენაზე, რომლის დღეც დანიშნული იყო სასამართლო სამართალწარმოების საჭიროებიდან გამომდინარე. გავიდა 3 თვეზე მეტი შუამდგომლობის წარდგენის მომენტიდან მის განხილვამდე. მთავრობის არგუმენტი, რომ საჭირო არ იყო მოსმენის გამართვა ექცერტიზის დასკვნის შედეგების მიღებამდე, არ არის სარწმუნო სასამართლოსათვის. ხსენებული მოსაზრება შესაძლოა, შესაფერისი ყოფილიყო არსებითი განხილვის შემდგომი მოსმენის დანიშვნისათვის, მაგრამ არა განმცხადებლის მიერ გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობის განხილვასთან მიმართებით. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე სხვა გამართლება გაჭიანურების შესახებ და სახეზე არ არის არანაირი მტკიცებულება, რომ განმცხადებელი რაიმე გზით პასუხისმგებელი იყო ხსენებულთან დაკავშირებით.

120. სასამართლო ასკვნის, რომ 1999 წლის 21 აპრილის გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის გადასინჯვა გაუმართლებლად იქნა გაჭიანურებული და, შესაბამისად, დაირღვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

*ბ) 1999 წლის 17 სექტემბრის გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის განხილვის გაჭიანურება*

121. რაც შეეხება გათავისუფლების შესახებ მეორე შუამდგომლობას, სასამართლოს აღნიშვნით, 1999 წლის 27 ივლისს ბუტირსკის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში. ხსენებული გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული და არ აკონკრეტებდა

პატიმრობის ხანგრძლივობას. 1999 წლის 17 სექტემბერს, ანუ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვისა და 19 დღის შემდგომ, განმცხადებლის წარმომადგენელმა რაიონულ სასამართლოში შეიტანა გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობა, რომელიც განხილულ იქნა 1 თვისა და 24 დღის შემდგომ. ზემომითითებულ 117-ე პუნქტი, ხსნებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ გათავისუფლების შესახებ მეორე შუამდგომლობის გადასინჯვა ასევე გაუმართლებლად იქნა გაჭიანურებული. ამიტომაც დაირღვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

*გ) სააპელაციო სასამართლოზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით*

122. ბოლოს განმცხადებელი ჩიოდა, რომ საჩივარი სასამართლოს 1999 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დაკანონდა პატიმრობა, არ ყოფილა განხილული მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ.

123. სასამართლო მიუთითებს მთავრობის არგუმენტზე, რომლის თანახმადაც, 1999 წლის 30 ივნისს შეტანილი შუამდგომლობა არ შეიცავდა არანაირ მოთხოვნას წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ, თუმცა სასამართლოს ხელთ არსებული დოკუმენტები საწინააღმდეგოს მოწმობენ. სიმართლეა ის ფაქტი, რომ 1999 წლის 30 ივნისის კერძო საჩივარი უმთავრესად ეხებოდა განმცხადებლის სულიერი მდგომარეობის საკითხებს, თუმცა იგი ასევე ეხებოდა განმცხადებლის პატიმრობას: შუამდგომლობის დებულებები ნათლად მოითხოვდა საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ განმცხადებლისათვის პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-17 პუნქტი).

124. სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს აპელაციის სისტემას, სააპელაციო ორგანო ასევე უნდა აკმაყოფილებდეს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს (იხ. *Toth v. Austria*, 1991 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №224, § 84). ამიტომაც 1999 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილების განუხილველობა იყო მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით

უზრუნველყოფილი პატიმრობის კანონიერების გადასინჯვაზე განმცხადებლის უფლების დარღვევა.

#### V. კონკრეტული მუხლის სავარაუდო დარღვევა

125. განმცხადებელი ჩიოდა მის წინააღმდეგ აღმრუდ სისხლის სამართლწარმოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამტკიცებდა, რომ იგი წაქეზეს პოლიციის ოფიცრებიმა, რომლებიც ქნი ტ-ს, როგორც თავანთი აგენტის, მეშვეობით მოქმედებდნენ, რათა განმცხადებელს ჩაედინა დანაშაული და განეხორციელებინა ნარკოტიკების შეძენა-გადაცემა. განმცხადებელი ეყრდნობოდა კონვენციის მუხლს, რომლის დებულებათა თანახმადაც:

„1. .. წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების საფუძლიანობის გამორკევისას ყველას აქვს უფლება გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიან ... განხილვაზე...“

„3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

...

ბ) ჰქონდეს საქმარისი დრო და შესაძლებლობანი საქართვის დაცვის მოსამზადებლად;“

#### ა. მხარეთა არგუმენტები

126. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელთა უფლებები არ იყო დარღვეული. მთავრობის განცხადების თანახმად, „საკონტროლო შესყიდვა“, ანუ, ეროვნული ტერმინით, „ოპერატორული ექსპერიმენტი“, იყო შესაფერისი მეთოდი დანაშაულთან ბრძოლისას; ასეთი „ექსპერიმენტებით“ მოპოვებული მტკიცებულებები დაშვებული იყო რუსული კანონმდებლობის მიხედვით და მათ შეიძლებოდა, გამოეწვიათ დამნაშავის მსჯავრდება. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ „ის საკითხი, თუ რა სახის ინფორმაციას ფლობდა პოლიცია [განმცხადებლის] დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით [საკონტროლო შესყიდვის წინ], არ ექვემდებარებოდა მტკიცებას წინამდებარე სისხლის სამართლის საქმეში“. საკონტროლო შესყიდვა განხორციელდა კანონიერ საფუძველზე და მოპოვებული მტკიცებულება შესაბამისად იქნა ჩართული საქმეში. მოწმე ტ-მ იცოდა, რომ განმცხადებელი ნარკოტიკებით ვაჭრობაში იყო ჩაბმული. მოწმე დასთანხმდა, მონაწილეობა მიეღო საკონტროლო შესყიდვაში და არ განუხორციელებია ზეწოლა განმცხადებელზე, რათა შეეძინა მისგან ნარკოტიკები.

127. განმცხადებელი კვლავაც მხარს უჭერდა თავის პრეტენზიებს. 1999 წლის 11 ნოემბრის სასამართლო გადაწყვეტილებაზე მითითებით, იგი ამტკიცებდა, რომ მისი მსჯავრდება ემქარებოდა მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც „საკონტროლო შესყიდვის“ შედეგად იყო მოპოვებული. იგი უთითებდა, რომ ეროვნული კანონმდებლობა იძლევდა „ექსპერიმენტის“ ჩატარების ნებართვას მხოლოდ პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებული უკვე არსებული ეჭვის დასამტკიცებლად. თუმცა პოლიციის შესაბამისი ოპერაცია დაგეგმილი და განხორციელებული იყო მაშინ, როდესაც მას არ გააჩნდა არანაირი ინფორმაცია განმცხადებლის დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით; თავის მხრივ კი, განმცხადებელს არ გააჩნდა არანაირი სახის ნასამართლეობა და მის წინააღმდეგ აღძრული არ ყოფილა წინასწარი გამოძიება. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი საქმე, ფაქტობრივად, ანალოგიური იყო *Teixeira de Castro*-ს საქმისა (1998 წლის 9 ივნისის განაჩენი, განაჩენები და გადაწყვეტილებები, 1998-IV), სადაც სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა.

## ბ. სასამართლოს შეფასება

### I. ზოგადი პრინციპები

128. დასაწყისში სასამართლოს სურს, ხაზი გაუსვას, რომ მას კარგად ესმის ის სირთულეები, რომლებსაც ხელისუფლების ორგანოები აწყდებიან სერიოზულ დანაშაულთან ბრძოლისას და გრძნობს იმის საჭიროებას, რომ ზოგჯერ, ამასთან დაკავშირებით, გამოძიების უფრო და უფრო დახვეწილი მეთოდებია აუცილებელი. ძირითადად, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ გამორიცხავს სისხლის სამართალწარმოებისას გამოძიების ეტაპზე, როდესაც ამას მოითხოვს დანაშაულის ხასიათი, ისეთ მტკიცებულებაზე დაყრდნობას, რომელიც მოპოვებულია პოლიციის ფარული ოპერაციის შედეგად (იხ., მაგალითად, *Lüdi v. Switzerland*, 1992 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, №238). თუმცა ფარული აგენტების გამოყენება შეზღუდული უნდა იყოს; პოლიცია შეიძლება მოქმედებდეს ფარულად, მაგრამ დაუშვებელია აგენტის მხრიდან დანაშაულის წაქეზება (იხ. *Teixeira de Castro*, ზემოხსენებული საქმის 36-ე პუნქტი).

129. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი დააკავეს და მსჯავრი დასდეს პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად. სასამართლომ ადრე უკვე განიხილა სისხლის სამართლწარმოებაში ისეთი მტკიცებულების გამოყენების საკითხი, რომელიც განხორციელდა პოლიციის წაქეზებით. მაგალითად, ზემოხსენებულ საქმეში – *Teixeira de Castro* – განმცხადებელს პოლიციის შენიდბულმა ოფიცრებმა შესთავაზეს ფული ჰეროინის მისაღებად. მართალია, მას ნასამართლეობა არ ჰქონდა, მაგრამ ჰქონდა გარკვეული კავშირები ნარკოტიკების მიღებისათვის. ფულით მოხიბლულმა განმცხადებელმა მიიღო ოფიცრების შეთავაზება. შემდგომში მას ბრალი წაუყენეს და მსჯავრი დასდეს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში. სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა და ერთმანეთისაგან გამიჯნა ოფიცრების ქმედება ამ საქმეში სხვა ჩვეულებრივი ფარული აგენტებისაგან, რომლებიც შესაძლოა, მაღავდნენ თავიანთ ვინაობას დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებათა მოსაპოვებლად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის წაქეზების გარეშე. სასამართლომ აღნიშნა, რომ, „მაშინ, როდესაც ორგანიზებული დანაშაულის ზრდა უსათუოდ მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელების უფლებას მაინც იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია [...], რომ არ შეიძლება, იგი მსხვერპლად შევწიროთ ზემოხსენებულ ინტერესს.“ (36-ე პუნქტი). სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა რამდენიმე ფაქტორი ამ საქმეში, კერძოდ კი ის ფაქტი, რომ ორი პოლიციელის მონაწილეობა არ იყო ოპერაციის ნაწილი, რომელზეც ვრცელდებოდა ეროვნული სასამართლოების ზედამხედველობა და ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს კი არ გააჩნდათ საფუძველი, ეჭვი შეეტანათ განმცხადებლის დანაშაულებრივ ქმედებებში (ნარკოტიკების გასაღებაში) ადრინდელ მონაწილეობაში: განმცხადებელი ადრე არ იყო ნასამართლევი და არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ განზრახული ჰქონდა ნარკოტიკებით ვაჭრობაში ჩაბმა მანამ, სანამ მას დაუკავშირდებოდა პოლიცია (*loc. cit.*, §§ 37-38).

130. ანალოგიურად, ახლანდელ საქმეში *Vanyan v. Russia* (№ 53203/99, 2005 წლის 15 დეკემბერი, §§ 45-50) სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, რაც გამოიწვია ნარკოტიკების შეძენის სიმულაციამ წაქეზების შედეგად და, მართალია, შესყიდვა განხორციელდა კერძო პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა როგორც ფარული აგენტი,

ოპერაცია მაინც რეალურად ორგანიზებული და განხორციელებული იყო პოლიციის მიერ.

131. გარდა ამისა, „სასამართლოს“ გარანტიასთან შესაბამისობისათვის ისეთ საქმეებში, რომლებშიც მტკიცებულებები ამ გზით არის შეგროვებული და გამოძიება არ ამხელს მათ, სასამართლომ კონცენტრირება მოახდინა საკითხზე, სარგებლობდა თუ არა დაცვის მხარე სათანადო პროცესუალური გარანტიებით (იხ.: *Edwards and Lewis v. the United Kingdom* [GC], nos. 39647/98 და 40461/98, 2004 წლის 27 ოქტომბერი, §§ 46-48).

2. ხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

132. წარმოდგენილ კომენტარებში მთავრობამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობაში განმცხადებლის ადრე მონაწილეობის საკითხი არარელევანტური იყო სისხლის სამართალწარმოების მიზნებისათვის, რომლის შედეგადაც გამოტანილ იქნა მსჯავრი. ის ფაქტი, რომ პოლიციის ოპერაცია დოკუმენტირებული იყო დადგენილი წესით, კანონიერს ხდიდა მას და, შესაბამისად, შემდგომი სამართალწარმოებაც სამართლიანი იყო.

133. თუმცა სასამართლოს არ შეუძლია, მიიღოს ხსენებული არგუმენტი. ეროვნული კანონმდებლობა არ უნდა იძლეოდეს ისეთი მტკიცებულების გამოყენების უფლებას, რომელიც ხელისუფლების აგენტების წაქეზებით იქნა მოპოვებული. იმ შემთხვევაში, თუკი ამ მხრივ ეროვნული კანონმდებლობა იძლევა ამის უფლებას, იგი არ შეესაბამება „სასამართლიანი სასამართლოს“ მოთხოვნებს, როგორც ეს განმარტებული იყო *Teixeira*-ს და ანალოგიურ საქმეებში. სასამართლო სამართალწარმოებისას დაცვის მხარე ამტკიცებდა, რომ დანაშაული არ იქნებოდა ჩადენილი, რომ არ ყოფილიყო „პროვოკაცია“ პოლიციის მხრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განმცხადებელმა წარმოადგინა „დაცვა პროვოკაციასთან მიმართებით“, რომელიც მოითხოვდა საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ხსენებული არგუმენტის განხილვას, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ საქმეში არსებობდა წაქეზების რამდენიმე *prima facie* (ერთი შეხედვით აშკარა) მტკიცებულება.

134. მეორე რიგში, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი არ იყო ნასამართლევი 1998 წელს,

დაკავებამდე. ინფორმაცია, რომ განმცხადებელი ჩაბმული იყო ადრე ნარკოტიკებით გაჭრობაში, მოღიოდა მხოლოდ ერთი წეაროდან – ტ-საგან, პოლიციის ინფორმატორისაგან. თუმცა ბუნდოვანია, თუ რატომ გადაწყვიტა ტ-მ პოლიციასთან თანამშრომლობა. გარდა ამისა, ტ-მ სასამართლოზე განაცხადა, რომ იგი დაუკავშირდა განმცხადებელს, რადგან არ იცოდა სხვა წეარო, საიდანაც შეეძლო მოეპოვებინა ნარკოტიკი. განმცხადებელს არ უნახავს არანაირი ფინანსური სარგებელი გ-საგან ჰეროინის ყიდვისა და ტ-სათვის მისი გადაცემიდან. მ. ამტკიცებდა, რომ მას არასოდეს უყიდია ადრე ჰეროინი განმცხადებლისაგან. ხსენებული ელემენტები შესაძლოა, გონივრულად იქნეს განმარტებული, როგორც მინიშნება, რომ განმცხადებელი ადრე არ იყო ცნობილი პოლიციისათვის, როგორც ნარკოტიკებით მოვაჭრე. საპირისპიროდ კი, როგორც აშკარა ხდება, პოლიციის ოპერაცია მიმართული იყო არა განმცხადებლის წინააღმდეგ ჰერსონალურად, არამედ ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, რომელიც დასთანხმდებოდა ტ-სათვის ჰეროინის შეძენას.

135. მესამე, სასამართლო კვლავაც უთითებს, საგამოძიებო დონისძიებებზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ნათელი და განვირებული პროცედურა, ისევე როგორც მათზე შესაბამისი ზედამხედველობა, უნდა იქნეს განხორციელებული იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ ხელისუფლების ორგანოების კეთილსინდისიერება და სამართალდაცვით მიზნებთან მათი მოქმედებების ჯეროვანი შესაბამისობა (იხ.: *Lüdi v. Switzerland*, 1992 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება, სერია A, №238; იხ. ასევე, *mutatis mutandis, Klass and Others v. Germany*, 1978 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A, №28). წინამდებარე საქმეში პოლიციის ოპერაცია დაკანონდა მარტივი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით და ეს გადაწყვეტილება იმავე ორგანომ მიიღო, რომელმაც მოგვიანებით განახორციელა იგი. როგორც ეს საქმის მასალებიდან ჩანს, გადაწყვეტილების ტექსტი მოიცავდა ძალიან მწირ ინფორმაციას დაგეგმილი „საკონტროლო შესყიდვის“ მიზნებსა და მიზეზებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ოპერაცია არ ექვემდებარებოდა სასამართლო ზედამხედველობას ან სხვა სახის დამოუკიდებელ ზედამხედველობას. ოპერაციის თანმდევი ყოვლისმომცველი შემოწმების სისტემის არარსებობისას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-60 პუნქტი) საქმის განმხილველი სასამართლოს მხრიდან შემდგომი კონტროლის როლი ძალზე მნიშვნელოვანი გახდა.

136. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლომ დაკითხა მხოლოდ სამი მოწმე: ტ., გ. (განმცხადებლის მეგობარი, რომელიც შესწრო დაკავების მომენტს) და განმცხადებლის დედა. პოლიციელები, რომლებიც ჩართული იყვნენ „საქონტროლო შესყიდვაში“, არ დაუკითხავს სასამართლოს, მიუხედავად იმისა, რომ ამას მოითხოვდა დაცვა. გ., რომელმაც მიჰყიდა განმცხადებელს პერონი და მსჯავრდებულ იქნა ხელშეკრულთან დაკავშირებით, ასევე არ ყოფილა დაკითხული სამართალწარმოებისას. ბოლოს, სასამართლო განსაკუთრებულ შეზფოთებას გამოთქვამს იმ ფაქტან დაკავშირებით, რომ თვით განმცხადებელიც არ ყოფილა დაკითხული სასამართლოს მიერ წაქეზების საკითხთან დაკავშირებით: იგი არ ესწრებოდა მოსმენას 1999 წლის 11 ნოემბერს, როდესაც სასამართლომ განიხილა 1998 წლის 29 ოქტომბრის მოვლენები.

137. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმეში ეროვნულ სასამართლოს პქონდა მიზეზი, ეჭვი შეეტანა, რომ აღინიშნა წაქეზება, სასამართლომ არ გააანალიზა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი ელემენტები, რომლებიც დაეხმარებოდა მას, განესხვავებინა წაქეზება საგამოძიებო მოქმედების სამართლებრივი ფორმისაგან. ამდენად, გამოდის, რომ სამართალწარმოება, რომლის შედეგადაც განმცხადებელს მსჯავრი დაედო, არ იყო „სამართლიანი“.

შესაბამისად, დაირდვა კონვენციის მე-6 მუხლი.

## VI. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

### 138. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგინს, რომ დაირდვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემქვრელი მხარის შიდასახელმწიფო სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

#### ა. ზიანი

139. განმცხადებელმა მოითხოვა 1300 ევრო ჩატარებული სამედიცინო მკურნალობისათვის და 15 000 ევრო მორალური ზიანისათვის. მატერიალურ ზიანთან დაკავშირებული მოთხოვნების დასასაბუთებლად მან წარმოადგინა წამლებზე გაღებული ხარჯების წლიური ანგარიში.

140. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს არ უნდა მიეღო არანაირი თანხა, 41-ე მუხლის შესაბამისად, რადგანაც მისი მტკიცება, რომ იგი დაექვემდებარა არაადამიანურ მოპყრობას, უსაფუძვლო იყო. ნებისმიერ შემთხვევაში მოთხოვნას გაზვიადებული და გადაჭარბებული ხასიათი ჰქონდა. ალტერნატიულად მთავრობა მოითხოვდა, რომ კონვენციის დარღვევის შემთხვევაში თვით დარღვევის აღიარების ფაქტი საქმარის დაქმაყოფილებას წარმოადგენდა. რაც შეეხება განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ დაკმაყოფილებას მატერიალური ზიანისათვის, მთავრობის მტკიცებით, განმცხადებელმა ვერ დაასაბუთა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ბრალად შეიძლებოდა შერაცხოდათ ხელისუფლების ორგანოებს.

141. რაც შეეხება მატერიალურ ზიანს, რომელიც, სავარაუდოდ, იქნა მიყენებული, სასამართლო იმურებს, რომ უნდა არსებობდეს აშკარა მიზეზობრივი კავშირი განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ზიანსა და კონვენციის დარღვევას შორის (იხ.: *Barberà, Messegué and Jabardo v. Spain*, 1994 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება (ადრემოქმედი 50-ე მუხლი), სერია A, №285-C, §§ 16-20; იხ. ასევე, *Berkay v. Turkey*, №22493/93, § 215, 2001 წლის 1 მარტი).

142. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა არაადამიანურ მოპყრობას საპატიმრო დაწესებულებაში არაჯეროვანი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გამო. განმცხადებლის ჯანმრთელობის პირობები გაუარესდა, რაც განმცხადებელს აყენებდა ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 83-ე პუნქტი). თუმცა აღნიშნული დასკვნა ეხება მხოლოდ განმცხადებლის პატიმრობის პერიოდს და არა იმ შესაძლო შედეგებს, რომლებიც გამოიწვია არაადეკვატურმა მკურნალობამ. განმცხადებელი აცხადებდა, რომ მას ესაჭიროებოდა მუდმივი სამედიცინო მკურნალობა გათავისუფლების შემდგომ; ამ ეტაპზე ბუნდოვანია, თუ რა ხარისხით შეიძლება იყოს დაკავშირებული მოთხოვნილი ხარჯები საპატიმროში არსებულ არაჯეროვან მკურნალობასთან და არა ქრონიკულ ავადმყოფობასთან, რომელთა გამო ხელისუფლების ორგანოები არ შეიძლება იყვნენ პასუხისმგებელნი. ხსენებულ გარემოებებში სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომ განმცხადებლის პრეტენზიები ხსენებულ საკითხთან

დაკავშირებით არ არის საკმარისად დასაბუთებული. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მათ.

143. რაც შეეხება მორალურ ზიანს, სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ მან დაადგინა კონვენციის მე-3, მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილი განმცხადებლის უფლებების დარღვევა. კერძოდ: სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრობის პერიოდში განმცხადებელს არ აღმოუჩინეს ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა. ხსენებულმა ფაქტმა უქმედად მიაყენა განმცხადებელს გარკვეული ფიზიკური და სულიერი ტანჯვა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (დაახლოებით 1 წლის განმავლობაში). გარდა ზემოხსენებულისა, განმცხადებელი პატიმრობაში იმყოფებოდა საფუძვლიანი დასაბუთების გარეშე; გათავისუფლების შესახებ მისი შუამდგომლობების გადასინჯვას ძალზე დიდი დრო სჭირდებოდა, რაც ასევე იწვევდა დათრგუნვას და დაუცველობის გრძნობას. ბოლოს კი განმცხადებლის წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობდა, იგი პატიმრობაში იმყოფებოდა და მას მსჯავრი დაედო ისეთი მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც წაქეზების შედეგად იქნა მოპოვებული. განმცხადებელი იძულებული იყო, შეეწყვიტა სწავლა, განეცადა სხვა ბევრი ნეგატიური შედეგი, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რაც თან სდევს სისხლისსამართლებრივ გამოძიებას. ყველაფერი ეს დამძიმებული იყო განმცხადებლის ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემებით, კერძოდ კი მისი სულიერი დაავადებით და შედარებითი შეურაცხადობით მოვლენების განვითარების მომენტში. ამავე დროს, სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუმცა ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებელი ბარლეულად მიიჩნიეს, იგი გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და მის მიმართ გამოყენებულ იქნა მსუბუქი ღონისძიება (იძულებითი სამედიცინო მკურნალობა).

144. შესაბამისად, სასამართლომ პარიტეტულ საწყისებზე დაადგინა, როგორც ამას ითხოვს კონვენციის 41-ე მუხლი, და განმცხადებელს ანიჭებს 12 000 (თორმეტი ათას) ევროს ზემოხსენებულ პრეტენზიებთან დაკავშირებით. აღინიშნულ თანხას უნდა დაემატოს ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შესაძლოა, დაეკისროს განმცხადებელს ამ თანხის მიღებასთან დაკავშირებით.

*ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები*

145. განმცხადებელი ითხოვდა 3000 ევროს ხარჯებისა და გაწეული დანახარჯების სახით. თავისი მოთხოვნების გასამყარებლად განმცხადებელმა წარადგინა ქ-ნ კოსტრომინასთან გაფორმებული შეთანხმება ევროპულ სასამართლოში მისი ინტერესების წარმოდგენასთან დაკავშირებით.

146. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ქ-ნ კოსტრომინასთან გაფორმებული შეთანხმება ხელმოწერილი იყო განმცხადებლის მამის და არა თვით განმცხადებლის მიერ. გარდა ამისა, მთავრობა ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ქ-ნი წარმოადგენდა „პ. ხუდობინის“ ინტერესებს, რომლებიც ასევე განმცხადებლის მამის ინიციალებია. იგი არ მოიცავს მითითებას საქმის ნომერზე, ასე რომ, მთავრობის აზრით, შეთანხმებას არანაირი კავშირი არ ჰქონდა წინამდებარე საქმესთან.

147. სასამართლო კვლავაც უთითებს, რომ მხოლოდ სამართლებრივი ხარჯები და გაწეული დანახარჯები, რომლებიც გაღებულ იქნა რეალურად და აუცილებლობიდან გამომდინარე და ასევე იყო გონივრული, ანაზღაურდება კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად (იხ., მაგალითად, *Stasaitis v. Lithuania*, № 47679/99, §§ 102-103, 2002 წლის 21 მარტი).

148. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მთავრობის არგუმენტზე, რომლის თანახმადაც განმცხადებლის მამასა და ქ-ნ კოსტრომინას შორის დადებული შეთანხმება არ ეხება წინამდებარე საქმეს. თუმცა, როგორც შეთანხმების ტექსტიდან გამომდინარეობს, იგი ეხებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოებას. სასამართლოს წინაშე მიმდინარე საქმეთა სიაში არ მოიძებნება განმცხადებლის მამის მიერ წარდგენილი განაცხადი. გარდა ამისა, როგორც ზემოთ იქნა დადგენილი, ქ-ნი კოსტრომინა იყო განმცხადებლის წარმომადგენელი ეროვნულ სასამართლოებსა და სტრასბურგის სამართალწარმოების დროსაც (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 72-ე და მისი მომდევნო პუნქტები). ამიტომაც სასამართლო ადგენს, რომ შეთანხმება ქ-ნ კოსტრომინასთან ეხება წინამდებარე საქმეს.

149. გარდა ამისა, ყველა გარემოება მიუთითებს, რომ განმცხადებლის მამა მოქმედებდა განმცხადებლის ინტერესებიდან გამომდინარე და მისი დუმილით გამოხატული თანხმობით. რუსეთის კანონმდებლობაში ასეთი სიტუაცია

ითვლება აუცილებლობით გამოწვეულ შეთანხმებად (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 71-ე პუნქტი) და, სამოქალაქო კოდექსის 984-ე მუხლის თანახმად, მან შესაძლოა, წარმოქმნას განმცხადებლისათვის სამართლებრივი ვალდებულება, რათა მოახდინოს იმ თანხების კომპენსაცია, რომელიც გადაიხადა განმცხადებლის მამამ ქ-ნ კოსტრომინას სასარგებლოდ. სასამართლო აღგენს, რომ შეთანხმების საფუძველზე ქ-ნ კოსტრომინასათვის გადასახდელი თანხა შესაძლებელია ჩაითვალოს განმცხადებლის სამართლებრივ ხარჯებად.

150. სასამართლო აღნიშნავს, რომ შეთანხმების თანახმად, ქ-ნ კოსტრომინასათვის გადასახდელი თანხა შეაღგენს 105 000 რუსულ რუბლს (დაახლოებით 3050 ევროს). საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ თანხა გადაჭარბებულია. ამიტომაც სასამართლო განმცხადებელს აკუთვნებს 105 000 რუსულ რუბლს და ასევე იმ თანხას, რომლითაც განმცხადებელი შესაძლოა, დაიბეგროს ზემოხსენებული თანხის მიღებისას.

#### გ. საურავი

151. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი უნდა დაწესდეს ცენტრალური ეკონომიკული ბანკის სესხისათვის განკუთვნილი მინიმალური პროცენტის სახით, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი ციფრი.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად:

1. უარყოფს მთავრობის პირველად პრეტენზიას;
2. ადგენს, რომ დაირდვა კონვენციის მე-3 მუხლი, განმცხადებლის მიმართ საპატიმრო დაწესებულებაში აღმოჩენილი არააღეპვატური სამედიცინო მქურნალობის გამო;
3. ადგენს, რომ აუცილებელი არ არის, ცალკე იქნეს განხილული კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებული სხვა საჩივრები;
4. ადგენს, რომ დაირდვა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი;

5. ადგენს, რომ დაირღვა მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.
6. ადგენს, რომ დაირღვა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.
7. ადგენს,

ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ იმ მომენტიდან 3 თვის ვადაში, როდესაც წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოო გახდება, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განმცხადებელს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები:

- (i) 12000 ევრო (თორმეტი ათასი ევრო), მორალური ზიანის გამო, რომელიც გადაყვანილ უნდა იქნეს რუსულ რუბლებში გადახდის დღისათვის არსებული ოფიციალური კურსით;
- (ii) 105 000 რუსული რუბლი (ას ხუთი ათასი რუსული რუბლი) სამართლებრივ ხარჯებსა და გაწეველ დანახარჯებთან დაკავშირებით;
- (iii) ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ზემოხსენებული თანხები.

(ბ) რომ ზემოხსენებული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ გადახდის დღემდე საურავი უნდა იქნეს გადახდილი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ეგროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი ციფრი;

8. ერთხმად უარყოფს დანარჩენ პრეტენზიებს სამართლიან დაკამაყოფილებასთან დაკავშირებით

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, და გაცხადებულია წერილობითი სახით 2006 წლის 26 ოქტომბერს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ვინსენტ ბერგერი  
რეგისტრატორი

ბოსტან გ. ზუპანჩიჩი  
თავმჯდომარე